

კვლევა საერთაშორისო ჩვეულებით ჰუმანიტარულ სამართალზე: შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამართლის უზენაესობის პრინციპის გააზრებისა და დაცვის ხელშეწყობა

ჟან-მარი ჰენკერტსი*

ჟან მარი ჰენკერტსი არის იურიდიული მრჩეველი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პროექტის ხელმძღვანელი, რომლის სახელწოდებაა „საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი“. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მისი და ლუის დოსვალდ-ბეკის რედაქტორობით გამოსცა ორტომიანი ნაშრომი საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ.

მიმოხილვა

სტატია მიმოიხილავს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის „საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი“ მიზნებს. ეს კვლევა კომიტეტმა მოამზადა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კონფერენციის მოთხოვნით. სტატიაში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, მისი სტრუქტურა და ავტორების ძირითადი დასკვნები. თუმცა, ამავდროულად, სტატია მიზნად არ ისახავს ამ დასკვნების სიღრმისეულად და ამომწურავად მიმოხილვასა და გაანალიზებას.

* ავტორს სურს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს ერიკ მოგელარს, ლუის დოსვალდ-ბეკს და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში მომუშავე სხვა კოლეგებს ამ სტატიაზე მუშაობის პერიოდში მოწოდებული არაერთი სიღრმისეული კომენტარისათვის. ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პოზიციას ანა თუ იმ საკითხზე.

შესავალი

1949 წლის ჟენევის კონვენციების მიღების შემდგომ პერიოდში, ორმოცდაათი წლის მანძილზე კაცობრიობა თითქმის ყველა კონტინენტზე ურიცხვი შეიარაღებული კონფლიქტის მომსწრე გახდა. . ამ ხნის განმავლობაში ჟენევის ოთხი კონვენცია და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმები უზრუნველყოფდნენ იმ პირთა დაცვას, ვინც არ, ან აღარ, იღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში (დაჭრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები, შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით თავისუფლებადაკვეთილი პირები, და სამოქალაქო პირები). ამის მიუხედავად, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები ხშირად ირღვეოდა, რაც ადამიანების ტანჯვასა და სიკვდილს იწვევდა. ასეთი შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უკეთესად დაცვის პირობებში.

საკოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების დარღვევა თავად ამ წესების არაადეკვატურობით არ არის განპირობებული. როგორც წესი, ამის მიზეზია შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ წესების დაცვის სურვილის, მათი აღსრულებისთვის საჭირო საშუალებების, ცალკეულ ვითარებაში წესების სწორად გამოყენების საკითხზე სიღრმისეული ინფორმაციის არარსებობა ან პოლიტიკური ლიდერების, მეთაურების, კომბატანტებისა და, ზოგადად, მოსახლეობის მიერ წესების არცოდნა.

1993 წლის აგვისტო-სექტემბერში ჟენევაში სამხედრო ტყვეთა დაცვის საკითხზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს, თუ რა გზებით შეიძლება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფა. თუმცა, კონფერენციის მონაწილეებს არ მიუღიათ გადაწყვეტილება ახალი სახელშეკრულებო ნორმების მიღების თაობაზე. კონსენსუსის გზით მიღებულ საბოლოო დეკლარაციაში აღინიშნა, რომ “აუცილებელია გაძლიერდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული დაცვის ეფექტურობა”. დეკლარაცია აგრეთვე მოუწოდებდა შვეიცარიის მთავრობას, რომ “ჩამოეყალიბებინა ექსპერტთა სამთავრობათშორისო ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა სამართლის ამ დარგის სრულად დაცვის უზრუნველყოფის პრაქტიკულ გზებს, და მოამზადებდა ანგარიშს, რომელიც გაეგზავნებოდა სახელმწიფოებს და წარმოდგენილი იქნებოდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კონფერენციის შემდგომ სესიაზე”.¹

1995 წლის იანვარში ჟენევაში გაიმართა სამხედრო ტყვეთა დაცვის ექსპერტთა სამთავრობათშორისო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში მომზადდა არაერთი რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გაძლიერების ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრევენციულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სამართლის შესახებ ცოდნის გაძლიერებასა და სამართლის მოთხოვნების უფრო ეფექტურ დაცვას. ექსპერტთა სამთავრობათშორისო ჯგუფის მიერ შემუშავებული II რეკომენდაციის თანახმად:

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ეთხოვა, სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონისა და განსხვავებული სამართლებრივი სისტემების წარმომადგენელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ექსპერტების დახმარებით, და

¹ International Conference for the Protection of War Victims, Geneva, 30 August–1 September 1993, Final Declaration, *International Review of the Red Cross*, No. 296, 1993, გვ. 381.

მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მომუშავე ექსპერტებთან კონსულტაციების გზით, მოამზადოს ანგარიში საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში მოქმედი საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის წესების შესახებ ანგარიშის მომზადება და სახელმწიფოებისა და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოებისთვის მისი გაგზავნა.²

1995 წლის დეკემბერში, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 26-ე საერთაშორისო კონფერენციაზე მხარი დაუჭირეს ამ რეკომენდაციას და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ოფიციალურად დაევალა როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში მოქმედი საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის წესების შესახებ კვლევის მომზადება.³ 2005 წელს, თითქმის 10 წლის თავზე, ექსპერტებთან სიღრმისეული და ფართომასშტაბიანი კონსულტაციების შედეგად გამოიცა ეს ანგარიში, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევის სახელით არის ცნობილი.⁴

მიზანი

საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევის მიზანია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სახელმწიფოებო ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების გადაჭრა. სახელმწიფოებო სამართალი კარგად არის განვითარებული და მოიცავს შეიარაღებული კონფლიქტების არაერთ ასპექტს. ამ წესებით უზრუნველყოფილია საომარი მოქმედებების დროს სხვადასხვა კატეგორიის პირთა დაცვა და იზღუდება ბრძოლის მეთოდები და საშუალებები. ჟენევის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები ქმნიან იმ პირთა დაცვის სიღრმისეულ სამართლებრივ რეჟიმს, რომლებიც არ ან აღარ მონაწილეობ საომარ მოქმედებებში. ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების მარეგულირებელი ხელშეკრულებები მოიცავს 1868 წლის სანტ პეტერბურგის დეკლარაციას, 1899 და 1907 წლების ჰააგის რეგულაციებს და ჟენევის 1925 წლის გაზის პროტოკოლს, ცალკეული კონვენციური იარაღების შესახებ 1980 წლის კონვენციას და მის ხუთ დამატებით ოქმს, 1993 წლის ქიმიური იარაღების კონვენციას და 1997 წლის ოტავის კონვენციას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ. შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული 1954 წლის ჰააგის კონვენციითა და მისი ორი დამატებითი ოქმით. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის რომის წესდება ითვალისწინებს *inter alia* სამხედრო დანაშაულებს, რომლებიც ექცევა სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

თუმცა, თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში ამ წესების დაცვას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი აფერხებს. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევის მომზადების აუცილებლობა. პირველ რიგში, ზემოთ მოყვანილი ხელშეკრულებები მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე

² Meeting of the Intergovernmental Group of Experts for the Protection of War Victims, Geneva, 23–27 January 1995, Recommendation II, *International Review of the Red Cross*, No. 310, 1996, გვ. 84.

³ 26th International Conference of the Red Cross and Red Crescent, Geneva, 3–7 December 1995, Resolution 1, International humanitarian law: From law to action; Report on the follow-up to the International Conference for the Protection of War Victims, *International Review of the Red Cross*, No. 310, 1996, გვ. 58.

⁴ Jean-Marie Henckaerts and Louise Doswald-Beck, *Customary International Humanitarian Law*, 2 volumes, Volume I. Rules, Volume II. Practice (2 Parts), Cambridge University Press, 2005.

ვრცელდება, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ აღნიშნული ინსტრუმენტები. თუკი 1949 წლის ჟენევის ოთხი კონვენცია უნივერსალური რატიფიკაციით სარგებლობს, იმავეს ვერ ვიტყვით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა ხელშეკრულებებზე, მაგალითად, ჟენევის კონვენციების დამატებით ოქმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი 160-ზე მეტ სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული. ამ ინსტრუმენტის ეფექტურობა საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან არაერთი სახელმწიფო, რომელიც დღეისთვის საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მხარეა, არ არის ამ ხელშეკრულების მაღალი ხელშემკვრელი მხარე. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი თითქმის 160 სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული, არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული არაერთი სახელმწიფო დღესაც არ არის ამ დამატებითი ოქმის ხელშემკვრელი მხარე. ხშირად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთადერთი დებულება, რომელიც არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოიყენება ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლია. ამრიგად, მოცემული კვლევის უმთავრესი მიზანია დაადგინოს, თუ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რომელი წესები განეკუთვნება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. ჩვეულებითი სამართლის წესები გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიმართ, მიუხედავად იმისა, მოახდინეს თუ არა მათ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, რომლებიც ანალოგიურ ან მსგავს წესებს ითვალისწინებენ.

მეორეს მხრივ, სახელშეკრულებო ჰუმანიტარული სამართალი სათანადო სიზუსტით არ არეგულირებს თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით კი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს. ასეთი კონფლიქტებში გაცილებით ნაკლები სახელშეკრულებო ნორმა მოქმედებს, ვიდრე საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში. არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სახელშეკრულებო წესები გამოიყენება, კერძოდ, ცალკეული კონვენციური იარაღების აკრძალვის შესახებ კონვენცია შესწორებებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, ოტავის კონვენცია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ, კონვენცია ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ, ჰააგის კონვენცია კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ და მისი მეორე დამატებითი ოქმი, და როგორც უკვე აღინიშნა, ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი და ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი. ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, ის მხოლოდ ელემენტარულ გარანტიებს და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს ითვალისწინებს. ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი მნიშვნელოვნად ავსებს საერთო მე-3 მუხლს, თუმცა ის მაინც ნაკლებად დეტალურია, ვიდრე, მაგალითად, საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელი ჟენევის კონვენციები და მათი I დამატებითი ოქმი.

ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი მხოლოდ 15 შინაარსობრივ მუხლს შეიცავს, ხოლო ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი 80-ზე მეტ ასეთ დებულებას. მიუხედავად იმისა, რომ რიცხვები რეალურად ვერ ასახავს სურათს, ისინი მაინც მიუთითებს, რომ საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელ სახელშეკრულებო წესებს შორის არის დიდი განსხვავება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დეტალურ წესებსა და განმარტებებს. მოცემული კვლევის მეორე უმთავრესი მიზანია გამოარკვიოს, უფრო დეტალურად არეგულირებს თუ არა საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებს, ვიდრე სახელშეკრულებო სამართალი, და თუკი ეს ასეა, დაადგინოს ამ წესების მოქმედების სფერო და საზღვრები.

მეთოდოლოგია

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს განმარტავს “სამართლად აღიარებულ ზოგად პრაქტიკად”.⁵ არსებობს ფართო კონსენსუსი, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის არსებობისთვის საჭიროა სახეზე იყოს ორი ელემენტი, კერძოდ - სახელმწიფო პრაქტიკა (*usus*) და რწმენა, რომ, შესაბამისი წესის შინაარსის თანახმად ასეთი პრაქტიკა მოითხოვება, იკრძალება ან დაშვებულია სამართლით (*opinio juris sive necessitatis*). როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *კონტინენტური შელფის საქმეში* აღნიშნა: “ცხადია, აქსიომატურია, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის იდენტიფიცირებისთვის პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფოთა რეალურ პრაქტიკისა და *opinio juris* ელემენტების მოძიება”.⁶ ამ ორი ელემენტის მნიშვნელობასა და შინაარსზე ბევრი აკადემიური ნაშრომი დაიწერა. მიდგომა, რომელიც კვლევის ფარგლებში ზოგადი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის არსებობის დასადგენად იქნა არჩეული შემოთავაზებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ, კერძოდ *ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შელფის საქმეებში*.⁷

სახელმწიფო პრაქტიკა

სახელმწიფო პრაქტიკა ორი კუთხით უნდა შეფასდეს: პირველ რიგში, რა პრაქტიკა უწყობს ხელს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შექმნას (სახელმწიფო პრაქტიკის იდენტიფიცირება); და მეორეს მხრივ, აყალიბებს თუ არა აღნიშნული პრაქტიკა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას (სახელმწიფო პრაქტიკის შეფასება).

სახელმწიფო პრაქტიკის იდენტიფიცირება

სახელმწიფოების როგორც ფიზიკური, ისე ვერბალური ქმედებები წარმოადგენს პრაქტიკას, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შექმნას. ფიზიკური ქმედებები მოიცავს, მაგალითად, სახელმწიფოთა ქცევას ბრძოლის ველზე, გარკვეული იარაღის გამოყენებას და სხვადასხვა კატეგორიის პირთა მოპყრობას. ვერბალური ქმედებები მოიცავს სამხედრო სახელმძღვანელოებს, ეროვნულ კანონმდებლობას, ეროვნული სასამართლოების პრაქტიკას, შეიარაღებული და უსაფრთხოების ძალებისთვის მიცემულ ინსტრუქტაჟს, ომის პერიოდში გამოცემულ სამხედრო კომუნიკაციებს, დიპლომატიურ პროტესტს, სახელმწიფო უწყებებში მომუშავე სამართლის მრჩეველთა მოსაზრებებს, სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულებების პროექტებზე გაკეთებულ განცხადებებს, ოფიციალურ გადაწყვეტილებებსა და რეგულაციებს, საერთაშორისო ტრიბუნალების წინაშე წარდგენილ მოხსენებებს, საერთაშორისო ასპარეზზე გაკეთებულ განცხადებებს, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ რეზოლუციებზე სახელმწიფოების პოზიციებს.

⁵ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 38(1)(b) მუხლი.

⁶ International Court of Justice, *Continental Shelf case (Libyan Arab Jamahiriya v. Malta)*, Judgment, 3 June 1985, ICJ Reports 1985, გვ. 29–30, § 27.

⁷ International Court of Justice, *North Sea Continental Shelf cases*, Judgment, 20 February 1969, ICJ Reports 1969, გვ. 3.

სახელმწიფოების ქმედებად ჩაითვლება აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ან/და საერთაშორისო კონფერენციებზე გამართული მოლაპარაკებები და მიღებული რეზოლუციები, ისევე როგორც კენჭისყრის ფარგლებში ხმის მიცემასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ზოგადად აღიარებულია, რომ რეზოლუციები თავისთავად არ ატარებს სამართლებრივად მხოლოდ ძალას და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შექმნის პროცესში ცალკეული რეზოლუციის წონა დამოკიდებული იქნება მის შინაარსზე, სახელმწიფოების თანხმობის ხარისხსა და ამ წესთან დაკავშირებულ სახელმწიფო პრაქტიკაზე.⁸ რაც უფრო დიდი მხარდაჭერით სარგებლობს კონკრეტული რეზოლუცია, მით უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროებს განეკუთვნება,⁹ ისინი სახელმწიფო პრაქტიკად ვერ ჩაითვლება. ამის მიზეზი ის არის, რომ ეროვნული სასამართლოებისგან განსხვავებით საერთაშორისო სასამართლოები სახელმწიფო ორგანოებს არ წარმოადგენენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები მაინც უაღრესად მნიშვნელოვანია. საერთაშორისო სასამართლოების დასკვნა, რომ ცალკეული ნორმა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება, მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს იმისთვის, რომ დადასტურდეს ასეთი წესის არსებობა. ამასთან, ვინაიდან მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს პრეცედენტული მნიშვნელობა გააჩნიათ, საერთაშორისო სასამართლოებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შემდგომ პრაქტიკაზე და ამრიგად, შესაძლოა ხელი შეუწყონ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესის ჩამოყალიბებას.

ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფების პრაქტიკა, როგორცაა ქვევის წესები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცალკეული წესების დაცვის ვალდებულების ცალმხრივად აღება ან მათი სხვა განცხადებები, თავისთავად არ ჩაითვლება სახელმწიფო პრაქტიკად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრაქტიკა შესაძლოა მიუთითებდეს არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი ცალკეული წესის არსებობაზე, მისი სამართლებრივი წონის საკითხი მაინც ბუნდოვანია. ამიტომაც, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესის არსებობის შეფასების პროცესში ეს კვლევა არ დაეყრდნო არასახელმწიფო აქტორების პრაქტიკას. ასეთი პრაქტიკის მაგალითები მოცემულია II ტომში, “სხვა პრაქტიკის” კატეგორიაში.

სახელმწიფო პრაქტიკის შეფასება

იმისთვის რომ დადგინდეს, საკმარისად “ჩამოყალიბებულია” თუ არა სახელმწიფოს პრაქტიკა, რათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას დაედოს საფუძვლად, აუცილებელია მისი შეფასება.¹⁰ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა, რომ სახელმწიფო პრაქტიკა თითქმის

⁸ ამ წინაპირობების მნიშვნელობა სასამართლომაც აღიარა, იხილეთ: International Court of Justice, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons, Advisory Opinion*, 8 July 1996, ICJ Reports 1996, გვ. 254–255, §§ 70–73.

⁹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდება, 38(1)(b) მუხლი.

¹⁰ ამ კონტექსტში ტერმინი “ჩამოყალიბებული” გამოიყენებულია ნაშრომში Sir Humphrey Waldock, “General Course on Public International Law”, *Collected Courses of the Hague Academy of International Law*, Vol. 106, 1962, გვ. 44.

სრულად ერთგვაროვანი, ფართოდ გავრცელებული და წარმომადგენლობითი იყოს.¹¹ თითოეული ეს ელემენტი დამოუკიდებლად იქნება განხილული ქვემოთ.

პირველ რიგში, იმისთვის, რომ სახელმწიფო პრაქტიკამ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას ჩაუყაროს საფუძველი, ის თითქმის *სრულად ერთგვაროვანი* უნდა იყოს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოები არსობრივად განსხვავებულად არ უნდა იქცეოდნენ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ საპირისპირო პრაქტიკა, რომელიც, ერთი შეხედვით უარყოფით გავლენას ახდენს ცალკეული პრაქტიკის ერთგვაროვნებაზე, ვერ შეუშლის ხელს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბებას, თუკი ამ პრაქტიკას გამოეხსნება სხვა სახელმწიფოები, ან თუკი თავად ის სახელმწიფო, რომელიც ამგვარ ქმედებას ახორციელებს, უარყოფს ასეთი პრაქტიკის არსებობას. ასეთი უარყოფის ან დაგმობის გზით, რეალურად დასტურდება წესის არსებობა.¹²

ზემოთ განხილული წესი განსაკუთრებით რელევანტურია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რამდენიმე ნორმასთან მიმართებით. განმეორებითი დარღვევა ხშირად ადასტურებს წესის არსებობას. როდესაც სახელმწიფო ბოდიშს იხდის ან თავს იმართლებს ცალკეული ქმედებისთვის, ან თუკი ასეთ ქმედებას გამოეხსნება სხვა სახელმწიფოები, მაშინ დარღვევის პრაქტიკა საფრთხის ქვეშ არ აყენებს შესაბამისი წესის არსებობას. სახელმწიფოები, რომლებსაც სურთ შეცვალონ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მოქმედი ნორმა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ ამ მიზანს, თუკი ისინი საჯაროდ და ოფიციალურად ჩაერთვებიან ასეთ პრაქტიკაში და საჯაროდ განაცხადებენ, რომ ამ დროს ისინი მათთვის მინიჭებულ უფლებას ახორციელებდნენ.

მეორეს მხრივ, იმისთვის, რომ ზოგადი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესი ჩამოყალიბდეს, სახელმწიფო პრაქტიკა უნდა იყოს *ფართოდ გავრცელებული* და *წარმომადგენლობითი*. თუმცა, აუცილებელი არ არის, რომ ის საყოველთაო იყოს; “ზოგადი” პრაქტიკის არსებობა საკმარისია.¹³ ამავდროულად, აუცილებელი არ არის, რომ სახელმწიფო პრაქტიკის მასშტაბმა მიაღწიოს ზუსტ რიცხოვრივ ან პროცენტულ მაჩვენებელს. შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს პრაქტიკაში მონაწილე სახელმწიფოთა ზუსტი რიცხვი, ვინაიდან ეს კრიტერიუმი *ხარისხობრივია*, და არა რაოდენობრივი. სხვაგვარად რომ ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, იმას თუ რამდენი სახელმწიფო მონაწილეობს ცალკეულ პრაქტიკაში; მნიშვნელოვანია აგრეთვე შეფასდეს, თუ რომელი სახელმწიფოები მონაწილეობენ ასეთ პრაქტიკაში.¹⁴ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შეღვის საქმეებში* აღნიშნა, რომ პრაქტიკა უნდა მოიცავდეს “განსაკუთრებულად დაინტერესებულ სახელმწიფოებს”.¹⁵

ამ ასპექტს ორი მნიშვნელოვანი შედეგი ახლავს: (1) თუკი უზრუნველყოფილია ყველა “განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოს” წარმომადგენლობა,

¹¹ International Court of Justice, *North Sea Continental Shelf cases*, op. cit. (note 7), გვ. 43, § 74.

¹² იხილეთ International Court of Justice, *Case concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States)*, Merits, Judgment, 27 June 1986, ICJ Reports 1986, გვ. 98, § 186.

¹³ International Law Association, Final Report of the Committee on the Formation of Customary (General) International Law, Statement of Principles Applicable to the Formation of General Customary International Law, Report of the Sixty-Ninth Conference, London, 2000, Principle 14, გვ. 734 (შემდგომში “ILA Report”).

¹⁴ Ibid., მე-14 პრინციპის (d) და (e) სექციების კომენტარები, გვ. 736–737.

¹⁵ International Court of Justice, *North Sea Continental Shelf cases*, op. cit. (note 7), გვ. 43, § 74.

აუცილებელი არ არის, რომ ამ სახელმწიფოთა უმრავლესობამ აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ცალკეული პრაქტიკის განხორციელებაში; თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ სხვა სახელმწიფოები დაეთანხმნენ “განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოების” პრაქტიკას; და (2) თუკი “განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოები” არ ეთანხმებიან პრაქტიკას, ის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად ვერ ჩამოყალიბდება იმ გარემოების მიუხედავად, რომ ამ კუთხით აბსოლუტური ერთსულოვნების პრინციპი არ მოქმედებს.¹⁶ ის, თუ რომელი სახელმწიფოა “განსაკუთრებულად დაინტერესებული”, სხვადასხვა ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. მაგალითად, დამაბრმავებელი იარაღის გამოყენების აკრძალვასთან მიმართებით ჩაითვალა, რომ “განსაკუთრებულად დაინტერესებულ სახელმწიფოთა” რიცხვს განეკუთვნებოდნენ სახელმწიფოები, რომლებიც ასეთი იარაღის შექმნის პროცესში იყვნენ ჩართულნი, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი იარაღის გამოყენების შედეგად შესაძლოა სხვა სახელმწიფოებიც დაზარალებულიყვნენ. ამასთან, “განსაკუთრებულად დაინტერესებულ სახელმწიფოდ ჩაითვლება” ერთის მხრივ, ის სახელმწიფო, რომლის მოსახლეობასაც სჭირდება ჰუმანიტარული დახმარება და მეორეს მხრივ, ის, რომელიც ასეთ ჰუმანიტარულ დახმარებას გაწევს. და ზოგადად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნებისმიერ წესთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ თუკი კონკრეტული წესი და მასთან დაკავშირებული ჰუმანიტარული საკითხები რელევანტურია იმ შეიარაღებული კონფლიქტისთვის, რომელშიც ცალკეული სახელმწიფო მონაწილეობდა, მაშინ ჩაითვლება, რომ ეს სახელმწიფო “განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოა”. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცალკეულ სფეროებში შესაძლოა არსებობდნენ “განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოები”, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს შესაძლოა აგრეთვე ჰქონდეთ განსაკუთრებული ინტერესი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვის უზრუნველყოფის პროცესში იმ შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებშიც კი, რომელშიც ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ.¹⁷ ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის დროს სხვა სახელმწიფოების მიერ ომის წარმოების ცალკეული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ყველა სახელმწიფოზე. ამრიგად, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი “განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოები” ამ ცნების ვიწრო გაგებით.

კვლევის ფარგლებში ავტორებს ჩამოყალიბებული პოზიცია არ ჰქონიათ, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ სახელმწიფო იყოს “მუდმივი მოწინააღმდეგე” საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის წესთან მიმართებით. არაერთი ავტორი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია სახელმწიფო *jus cogens* ნორმასთან მიმართებით იყოს “მუდმივი მოწინააღმდეგე”; სხვები ეჭვქვეშ აყენებენ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში თავად “მუდმივი მოწინააღმდეგის” ცნების რელევანტურობის საკითხს.¹⁸ თუკი მივიჩნევთ, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოებს უფლება აქვთ იყვნენ ამა თუ იმ პრაქტიკის “მუდმივი მოწინააღმდეგეები”, აუცილებელია, რომ ამ სახელმწიფოებს ღიად ჰქონდეთ დაფიქსირებული თავიანთი პროტესტი, როგორც თავად

¹⁶ ILA Report, op. cit. (note 13), მე-14 პრინციპის (e) სექციის კომენტარი, გვ. 737.

¹⁷ იხილეთ *Customary International Humanitarian Law*, op.cit. (note4), Vol. I, 144-ე წესის კომენტარი.

¹⁸ სიღრმისეული ანალიზისთვის იხილეთ: Maurice H. Mendelson, “The Formation of Customary International Law”, *Collected Courses of the Hague Academy of International Law*, Vol. 272, 1998, გვ. 227–244.

ნორმის ჩამოყალიბების მომენტში, ისე განუწყვეტლივ ამ წესის ჩამოყალიბების შემდეგაც. საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს “მოგვიანებითი მოწინააღმდეგეობის” ცნებას.¹⁹

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა დროის გასვლა. თუმცა, მკაცრად განსაზღვრული დროის კრიტერიუმი არ არსებობს. აუცილებელია შესაბამისი პრაქტიკის ერთობლიობამ იმ ზღვარს მიაღწიოს, რომ ერთგვაროვნების, ფართოდ გავრცელებისა და წარმომადგენლობითობის ასპექტების მნიშვნელობისთვის საკმარისად ჩამოყალიბებულად ჩაითვალოს.²⁰

Opinio Juris

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ჩამოყალიბებისთვის *opinio juris* ელემენტის არსებობის აუცილებლობა მიუთითებს სახელმწიფოთა სამართლებრივ რწმენაზე, რომ კონკრეტული პრაქტიკა “უფლების” განხორციელების ფარგლებში ხდება. ასეთი პრაქტიკა და სამართლებრივი რწმენა, შესაძლოა განსხვავებული ფორმით გამოიხატოს; როგორც წესი, ეს დამოკიდებული იქნება თავად წესზე და მის შინაარსზე, ე.ი. გულისხმობს თუ არა ის აკრძალვას, ვალდებულებას ან უბრალოდ ქცევის თავისუფლებას.

კვლევაზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებით რთული და დიდწილად თეორიული აღმოჩნდა პრაქტიკისა და სამართლებრივი რწმენის ელემენტების გამიჯვნა. ხშირად, ერთი და იგივე ქმედება მიუთითებს როგორც პრაქტიკაზე, ისე - სამართლებრივ რწმენაზე. როგორც საერთაშორისო სამართლის ასოციაციამ აღნიშნა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს “არ უთქვამს, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ სახელმწიფო პრაქტიკა და *opinio juris* (სავარაუდოდ) ჩვეულებითი სამართლის განსხვავებული ელემენტებია, ერთი კონკრეტული ქმედება ორივე მათგანის დემონსტრირებას ვერ შეძლებს. რეალურად, ამ ორი ელემენტის ერთმანეთისგან გამიჯვნა ხშირად რთული და შეუძლებელიც კი არის”.²¹ აღნიშნულს ისიც განაპირობებს, რომ ვერბალური ქმედებები, როგორცაა სამხედრო განკარგულებები, სახელმწიფო პრაქტიკად ითვლება და ამავდროულად, შესაბამისი სახელმწიფოს სამართლებრივ რწმენაზეც მიუთითებს.

როდესაც სახეზეა საკმარისად ჩამოყალიბებული პრაქტიკა, *opinio juris* დანახვა, როგორც წესი, თავად ამ პრაქტიკაშიც არის შესაძლებელი. ამრიგად, ხშირად აუცილებელი არ იქნება *opinio juris* დამოუკიდებლად არსებობის მტკიცება. თუმცა, როდესაც პრაქტიკა ბუნდოვანია, *opinio juris* მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის დადგენაში, თუ რამდენად საკმარისია პრაქტიკა ჩვეულების ჩამოყალიბებისთვის. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება უმოქმედობა. როდესაც სახელმწიფოები არ მოქმედებენ ან რეაგირებენ, რთული სათქმელია, თუ რა არის ასეთი უმოქმედობის მიზეზი. ასეთ შემთხვევებთან მიმართებით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ და მისმა წინამორბედმა - მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სასამართლომაც, მნიშვნელოვნად ჩათვალა *opinio juris* არსებობის საკითხის დამოუკიდებლად შეფასება, რათა დაედგინათ

¹⁹ ILA Report, op. cit. (note 13), მე-15 პრინციპის (b) სექციის კომენტარი, გვ. 738.

²⁰ *Ibid.*, მე-12 პრინციპის (b) სექციის კომენტარი, გვ. 731.

²¹ *Ibid.*, გვ. 718, § 10(c). დეტალური ანალიზისთვის იხილეთ: Peter Haggenmacher, “La doctrine des deux éléments du droit coutumier dans la pratique de la Cour internationale”, *Revue générale de droit international public*, Vol. 90, 1986, გვ. 5.

საკმარისი იყო თუ არა არსებული ბუნდოვანი პრაქტიკა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ჩამოყალიბებისთვის.²²

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, სადაც ბევრი წესი მოითხოვს ცალკეული ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას, უმოქმედობის ჭრილში *opinio juris* შეფასება განსაკუთრებულ პრობლემებს უკავშირდება; ასეთ დროს უნდა დადგინდეს, რომ ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება არ არის უბრალო შემთხვევითობა, და რეალურად, სამართლებრივ რწმენას უკავშირდება. როდესაც უმოქმედობის მოთხოვნა საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და ოფიციალურ განცხადებებშია მოცემული, როგორც წესი, შესაძლებელი იქნება ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების სამართლებრივი მოთხოვნის არსებობის დადგენა. ამასთან, ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მას შემდეგ, რაც ცალკეულმა ქმედებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია; ეს შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება შემთხვევითი არ ყოფილა. თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის მარტივი არ იქნება იმის მტკიცება, რომ ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება სამართლებრივი ვალდებულების არსებობის რწმენით იყო განპირობებული.

სახელშეკრულებო სამართლის გავლენა

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის იდენტიფიცირების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მსგავსი ინსტრუმენტები ხშირად გვხვდებით იმის დადგენაში, თუ რას ფიქრობენ სახელმწიფოები ამა თუ იმ წესზე. ამრიგად, კვლევა მოიცავს ხელშეკრულებების რატიფიკაციის, განმარტებისა და შესრულების საკითხებს, მათ შორის რატიფიკაციის დროს სახელმწიფოების მიერ გაკეთებულ დათქმებსა და განმარტებებს. *ჩრდილოეთის ზღვის კონტინენტური შეღვის* საქმეებში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შეფასების მიზნებისთვის აშკარად მიიღო მხედველობაში ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი. როგორც სასამართლომ აღნიშნა, “ხელშეკრულების რატიფიკაციისა და მიერთების შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვანი, თუმცა თავისთავად საკმარისი კრიტერიუმი არ იყო”, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით გაწერილი წესების მიღმა შესაბამის სფეროში სახელმწიფოთა პრაქტიკა საკმაოდ ბუნდოვანი იყო.²³ *ნიკარაგუას საქმეში*, სასამართლომ განსხვავებული მიდგომა აირჩია და შიდა საქმეებში ჩაურევლობის წესის ჩვეულებითი სამართლის სტატუსის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანად ჩათვალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის თითქმის საყოველთაო რატიფიკაციის ფაქტი.²⁴ ხშირად, შესაძლოა თავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესი განეკუთვნებოდეს ჩვეულებით სამართალს. ეს შეიძლება იმ პირობებშიც კი მოხდეს,

²² იხილეთ მაგალითად, Permanent Court of International Justice, *Lotus case (France v. Turkey)*, Judgment, 7 September 1927, PCIJ Ser. A, No. 10, p. 28; International Court of Justice, *North Sea Continental Shelf cases*, op. cit. (note 7), გვ. 43–44, §§ 76–77; ILA Report, op. cit. (note 13), მე-17(iv) პრინციპი და კომენტარი.

²³ International Court of Justice, *North Sea Continental Shelf cases*, op. cit. (note 7), გვ. 42, § 73.

²⁴ International Court of Justice, *Case concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua*, op. cit. (note 12), გვ. 99–100, § 188. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად, ის იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ კენჭისყრის გარეშე მიღებული 2625-ე რეზოლუცია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების შესახებ (XXV) ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა.

როდესაც ხელშეკრულება ძალაში ჯერ არ არის შესული. ამისთვის აუცილებელია არსებობდეს იმდენად მსგავსი პრაქტიკა (მათ შორის განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოების), რომ ამ წესისთვის წინააღმდეგობის გაწევის ალბათობა რთულად წარმოსადგენი იყოს.²⁵

სახელშეკრულებო ნორმების შემუშავების პროცესი კონკრეტულ საკითხზე მსოფლიო თანამეგობრობის სამართლებრივი პოზიციების შეჯერების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნულს, უდავოდ დიდი გავლენა აქვს სახელმწიფოების შემდგომ ქცევასა და სამართლებრივ რწმენაზე. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ამ ფაქტორზე მიუთითა *კონტინენტური შეღვის* საქმეში: “მრავალმხრივმა ხელშეკრულებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საერთაშორისო ჩვეულებიდან გამომდინარე წესების აღრიცხვასა და დაზუსტებაში, ან, საჭიროების შემთხვევაში, მათ განვითარებაში”.²⁶ ამრიგად, სასამართლომ დაადასტურა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით შესაძლოა მოხდეს უკვე არსებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების კოდიფიცირება; თუმცა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მრავალმხრივ ხელშეკრულებებზე მუშაობის პროცესმა საფუძველი ჩაუყაროს ახალი ჩვეულების ჩამოყალიბებას, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესზე. სასამართლო უფრო შორსაც წავიდა და განაცხადა, რომ “სახელმწიფოების მიერ ფართო და წარმომადგენლობითი მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულებებში შესაძლოა თავისთავად საკმარისი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, თუკი ამ პროცესში მონაწილეობენ განსაკუთრებულად დაინტერესებული სახელმწიფოები”.²⁷

ხელშეკრულების ფართო რატიფიკაციის საკითხს ეს კვლევა დიდი სიფრთხილით მიუდგა. კვლევის მიზნებისთვის ცალკეული ხელშეკრულების რატიფიკაციის სტატუსი მხოლოდ ინდიკატორად არის გამოყენებული და სახელმწიფო პრაქტიკის სხვა ელემენტებთან ერთად არის შეფასებული, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოთა პრაქტიკასთან ერთად, რომლებიც ცალკეული კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები არ არიან. არახელშემკვრელ მხარეთა თანმიმდევრული და ერთგვაროვანი პრაქტიკა პოზიტიურ მტკიცებულებად ჩაითვალა, ხოლო არახელშემკვრელ მხარეთა საპირისპირო პრაქტიკა მნიშვნელოვან ნეგატიურ მტკიცებულებად იქნა მიჩნეული. განსაკუთრებით რელევანტურად ჩაითვალა აგრეთვე არახელშემკვრელი მხარეების მიმართ ხელშემკვრელი სახელმწიფოების პრაქტიკაც.

ამრიგად, კვლევა არ შემოიფარგლა მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის რელევანტური ხელშეკრულებების არახელშემკვრელი სახელმწიფოების პრაქტიკით. იმ 30-მდე სახელმწიფოს პრაქტიკის შეფასება, რომლებსაც არ მოუხდენიათ შენევის კონვენციების დამატებითი ოქმების რატიფიკაცია, საკმარისი არ იქნებოდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის დადგენისთვის, რაც თავისთავად

²⁵ International Court of Justice, *Continental Shelf case*, op. cit. (note 6), გვ. 33, § 34. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ცნება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი იყო იმის გათვალისწინებით, რომ იმ სახელმწიფოების რაოდენობა, რომლებმაც განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ მოთხოვნა ოფიციალურად გააკეთეს 56-მდე გაიზარდა (ეს რიცხვი მოიცავდა სახელმწიფოებს, “რომლებზეც განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა” აღნიშნული წესი). აღნიშნული ნორმის არსებობაზე გავლენას არ ახდენდა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის კონვენცია ჯერ არ იყო შესული ძალაში.

²⁶ International Court of Justice, *Continental Shelf case*, op. cit. (note 6), გვ. 29–30, § 27.

²⁷ International Court of Justice, *North Sea Continental Shelf cases*, op. cit. (note 7), გვ. 42, § 73; აგრეთვე იხილეთ ILA Report, op. cit. (note 13), პრინციპები 20–21, 24, 26 და 27, გვ. 754–765.

მოითხოვს ფართოდ გავრცელებული და წარმომადგენლობითი პრაქტიკის არსებობას. ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის წესის არსებობის შეფასების პროცესში კვლევამ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ამ კვლევის გამოქვეყნების მომენტისთვის ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი 162 სახელმწიფოს, ხოლო ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი 157 სახელმწიფოს ჰქონდა რატიფიცირებული.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა მიზნად არ ისახავს დაადგინოს, ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თითოეული წესი. ამრიგად, კვლევის სტრუქტურა არ იმეორებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში მოქმედი ხელშეკრულებების დებულებების თანმიმდევრობას. კვლევის მიზანია გაანალიზოს ცალკეული საკითხები, რათა მოახდინოს ჩვეულებითი სამართლის ნორმების იდენტიფიცირება, რომელიც ეფუძნება აღნიშნულ საკითხებზე სახელმწიფო პრაქტიკას. ვინაიდან კვლევის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს ჩვეულებითი სამართლის სტატუსის დადგენის მიზნით რელევანტური ხელშეკრულებების თითოეული დებულების გაანალიზებას, ვერ ვიტყვით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული წესი ჩვეულებითი სამართლის ნაწილი არ არის მხოლოდ იმის გამო, რომ ის ამ კვლევაში არ მოხვდა.

კვლევის სტრუქტურა

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისთვის მინიჭებული მანდატის ყველაზე ოპტიმალურად შესრულების უზრუნველყოფისთვის ავტორებმა კონსულტაციები გაიარეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აკადემიკოს ექსპერტებთან. ამ მიზნით შეიქმნა ექსპერტთა სპეციალური კომისია.²⁸ ექსპერტთა კომისიამ 1996 წლის იანვარში მიიღო სამოქმედო გეგმა და კვლევის პროცესი ამავე წლის ოქტომბერში დაიწყო. კვლევა დაეფუძნა როგორც ეროვნულ, ისე - საერთაშორისო წყაროებს, რომლებიც სახელმწიფოს პრაქტიკაზე მიუთითებდნენ. სამოქმედო გეგმის მიხედვით კვლევისთვის ექვსი ძირითადი სფერო შეირჩა:

- განსხვავების პრინციპი;
- განსაკუთრებული დაცვით მოსარგებლე პირები და ობიექტები;
- ომის სპეციფიური მეთოდები;
- იარაღები;
- სამოქალაქო პირების და *hors de combat* პირების მოპყრობა;
- იმპლემენტაცია.

ეროვნული წყაროების კვლევა

ვინაიდან ეროვნული წყაროების მოძიება სახელმწიფოების შიგნით, ეროვნულ დონეზე უფრო მარტივი იქნებოდა, კვლევის ავტორებმა მიიღეს გადაწყვეტილება ეთანამშრომლათ მკვლევარებთან თავად ამ სახელმწიფოებში. ამ მიზნით, 50 სახელმწიფოში (9 სახელმწიფო

²⁸ ექსპერტთა სპეციალური კომისიის წევრები იყვნენ: პროფესორი ჯორჯ აბი-სააბი, სარა ელ-დინ ამერი, ოვ ბრინგი, ერიკ დავიდი, ჯონ დუგარდი, ფლონტინო ფელიჩიანო, ჰორსტ ფიშერი, ფრანსუაჰ ჰემფსონი, თეოდორ მერონი, ჯამზიდ მომთაზი, მილან საოვიჩი და რაულ ემილიო ვინესა.

აფრიკაში, 10 სახელმწიფო ამერიკაში, 15 სახელმწიფო აზიაში, 1 ავსტრალიასა და 11 ევროპაში) 50-მდე დამოუკიდებელი ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი შეირჩა. მათ დაევალიათ შესაბამისი სახელმწიფოს პრაქტიკის შესახებ ანგარიშის მომზადება.²⁹ სახელმწიფოები გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის პრინციპით, ისევე როგორც შეიარაღებული კონფლიქტების გამოცდილებით შეირჩა.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო პრაქტიკის შესახებ ცალკეული ანგარიში არ მოიცავდა ინფორმაციას სამხედრო სახელმძღვანელოებისა და სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესახებ, ჩატარდა დამატებითი კვლევა და შეგროვდა დამატებითი ინფორმაცია. აღნიშნული შესაძლებელი გახდა მსოფლიოს მასშტაბით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლობების მხარდაჭერით. ეროვნული კანონმდებლობის შეგროვებასა და აღრიცხვაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახურმა.

საერთაშორისო წყაროების კვლევა

საერთაშორისო წყაროებში დაფიქსირებული სახელმწიფო პრაქტიკა ექვსმა დამოუკიდებელმა ჯგუფმა შეაგროვა. თითოეული მათგანი კვლევის ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე მუშაობდა.³⁰ ამ სამუშაო ჯგუფებმა გამოიკვლიეს პრაქტიკა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, აფრიკის კავშირის (წინათ აფრიკის ერთობის ორგანიზაცია), ევროპის საბჭოს, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს, ევროპის კავშირის, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ეგიდით. მკვლევარებმა აგრეთვე შეისწავლეს საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების პრაქტიკა და მოახდინეს ისეთი გადაწყვეტილებებისა და დასკვნების იდენტიფიცირება, რომლებიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესის არსებობას ადასტურებს.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის არქივის კვლევა

ეროვნული და საერთაშორისო წყაროების კვლევის შედეგების მიზნით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა საკუთარი არქივებიც გააანალიზა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას 40-მდე თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ (21 აფრიკაში, 2

²⁹ აფრიკა: ალჟირი, ანგოლა, ბოტსვანა, ეგვიპტე, ეთიოპია, ნიგერია, რუანდა, სამხრეთ აფრიკა და ზიმბაბვე; ამერიკა: არგენტინა, ბრაზილია, კანადა, ჩილე, კოლუმბია, კუბა, ელ-სალვადორი, ნიკარაგუა, პერუ, ამერიკის შეერთებული შტატები და ურუგვაი; აზია: ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ერაყი, ისრაელი, იაპონია, იორდანია, კორეის რესპუბლიკა, ქუვეითი, ლიბანი, მალაიზია, პაკისტანი, ფილიპინები და სირია; ავსტრალია: ავსტრალია; ევროპა: ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ჰოლანდია, რუსეთის ფედერაცია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო და იუგოსლავია.

³⁰ განსხვავების პრინციპი: პროფესორი ჯორჯ აბი-სააბი (მომხსენებელი) და ჟან-ფრანსუა კეგინე (მკვლევარი); განსაკუთრებული დაცვით მოსარგებლე პირები და ობიექტები: პროფესორი ჰორსთ ფიშერი (მომხსენებელი) და ჟრეგორ შოტენი და ჰაიკე სპიკერი (მკვლევარი); ომის წარმოების სპეციფიკური მეთოდები: თეოდორ მერონი (მომხსენებელი) და რიჩარდ დეგანე (მკვლევარი); იარაღი: პროფესორი ოვ ბრინგი (მომხსენებელი) და გუსტავ ლინდი (მკვლევარი); სამოქალაქო პირების და *hors de combat* პირების მოპყრობა: ფრანსუაჟ ჰემფსონი (მომხსენებელი) და ცამილ ჟიფარი (მკვლევარი); იმპლემენტაცია: ერიკ დავიდი (მომხსენებელი) და რიჩარდ დეგანე (მკვლევარი).

ამერიკაში, 8 აზიასა და 8 ევროპაში).³¹ ეს კონფლიქტები იმ პრინციპით შეირჩა, რომ ის ქვეყნები და კონფლიქტები, რომლებიც სახელმწიფო პრაქტიკის შესახებ მომზადებულმა ანგარიშებმა არ მოიცვა, ასევე ყოფილიყვნენ განხილული.

ამ მიდგომის წყალობით, რომელიც სამ განსხვავებულ კომპონენტს, ანუ ეროვნული, საერთაშორისო და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წყაროების კვლევას აერთიანებს, შესაძლებელი გახდა სახელმწიფოთა პრაქტიკის გაანალიზება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, ბუნებრივია, კვლევა სრული და ამომწურავი ვერ იქნება. იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო თანამედროვე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესების შეჯერება, კვლევა ოცდაათწლიან პრაქტიკას ეფუძნება; თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, საკითხის რელევანტურობიდან გამომდინარე, უფრო ძველი პრაქტიკაც არის მოყვანილი.

ექსპერტთა კონსულტაციები

კონსულტაციების პირველი რაუნდისთვის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოიწვია საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფები. მათ დაევალათ შეგროვებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის კვლევის საწყის ეტაპზე იდენტიფიცირებული ინფორმაციის შეჯერება და შეჯამება. მოკლე შეჯამებები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს, რომელმაც ეს დოკუმენტები 1998 წელს ჟენევაში გამართულ სამ შეხვედრაზე განიხილა. ამ დოკუმენტში შესწორებები შევიდა და კონსულტაციების მეორე რაუნდზე თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირებისთვის გაეგზავნა აკადემიკოსების ჯგუფსა და სამთავრობო ექსპერტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს ექსპერტები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა დამოუკიდებელი მანდატით მოიწვია, რათა მათ შესაძლებლობა მისცემოდათ დასწრებოდნენ 1999 წელს ჟენევაში გამართულ ექსპერტთა ჯგუფის ორ შეხვედრას. ამ შეხვედრებზე ექსპერტებმა შეაფასეს შეგროვებული პრაქტიკა და მოახდინეს იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც დამატებითი პრაქტიკის მოძიება იყო საჭირო.³²

³¹ აფრიკა: ანგოლა, ბურუნდი, ჩადი, ჩადი-ლიბია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჯიბუტი, ერიტრეა-იემენი, ეთიოპია (1973-1994), ლიბერია, მოზამბიკი, ნამიბია, ნიგერია-კამერუნი, რუანდა, სენეგალი, სენეგალი-მავრიტანია, სიერა ლეონე, სომალი, სომალი-ეთიოპია, სუდანი, უგანდა და დასავლეთი საჰარა; ამერიკა: გვატემალა და მექსიკა; აზია: ავღანეთი, კამბოჯა, ინდოეთი (ჯამუ და ქაშმირი), პაპუა-ახალი გვინეა, შრი-ლანკა, ტაჯიკეთი, იემენი და იემენი-ერიტრეა (აგრეთვე აფრიკის მასშტაბით); ევროპა: სომხეთი-აზერბაიჯანი (მთიანი-ყარაბაღი), კვიპროსი, ყოფილი იუგოსლავია (კონფლიქტი იუგოსლავიაში (1991-92), კონფლიქტი ბოსნია და ჰერცეგოვინაში (1992-96), კონფლიქტი ხორვატიაში (კრინა) (1992-95), საქართველო (აფხაზეთი), რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნეთი) და თურქეთი).

³² კონსულტაციებში პირადი მანდატით მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი აკადემიკოსები და სამთავრობო ექსპერტები: აბდალა ად-დოური (ერაყი), პოლ ბერმანი (გაერთიანებული სამეფო), სადი ჩაიჩი (თურქეთი), მაიკლ ქოულინგი (სამხრეთ აფრიკა), ედუარდ კუმინგსი (ამერიკის შეერთებული შტატები), ანტონიო დე იკაზა (მექსიკა) იორამ დინშტაინი (ისრაელი), ჟან-მიშელ ფავრი (საფრანგეთი), უილიამ ფენრიკი (კანადა), დიტერ ფლეკი (გერმანია), ხუან კარლოს გომეს რამირესი (კოლუმბია), ჯამშედ ა. ჰამიდი (პაკისტანი), არტურო ჰერნანდეს-ბასავე (მექსიკა), იბრაიმ იდრისი (ერთიოპია), ჰასან კასემ ჯუნი (ლიბანი), კენეთ კეითი (ახალი ზელანდია), გიტუ მუიგაი (კენია), რეინ მულერსონი (ესტონეთი), ბარა ნიანგი (სენეგალი), მოჰამედ ოლვანი (იორდანია), რაულ ს. პანგალანგანი (ფილიპინები), სტელიოს პერაკისი (საბერძნეთი), პაოლო სერხიო პინერიო (ბრაზილია), არპად პრანდლერი (უნგრეთი), პემარაჯუ სრენივასა რაო (ინდოეთი), კამილო რეიეს როდრიგესი (კოლუმბია), იტსე ე. საგაი (ნიგერია), ჰეროლდ სანდოვალი (კოლუმბია), სომბონ სანგიანბუტი (ტაილანდი), მარატ ა სარსემბაიევი (ყაზახეთი), მუჰამად აზიზ შუკრი (სირია), პარლაუნგან სიომბინგი (ინდონეზია), ჯეფრი ჯეიმს სკილენი (ავსტრალია), გუომუნ სუნი (ჩინეთი), ბახტიარ ტუზმუჰამედოვი (რუსეთი) და კაროლ ვოლფკე (პოლონეთი).

ანგარიშის წერის პროცესი

ექსპერტთა კომისიის შეფასებები, რომლებიც შემდგომ აკადემიკოსთა ჯგუფმა და სამთავრობო ექსპერტებმა განიხილეს, საფუძვლად დაედო საბოლოო ანგარიშს. კვლევის ავტორებმა გადაამოწმეს პრაქტიკა, კიდევ ერთხელ შეაფასეს ჩვეულებითი სამართლის ნორმის არსებობის საკითხი, შეასწორეს კვლევის ტექსტი, შეაჯამეს წესების თანმიმდევრობა და მოამზადეს კომენტარები. კვლევის პროექტი კომენტარებისა და მოსაზრებებისთვის გაეგზავნა ექსპერტთა კომისიას, აკადემიკოსთა ჯგუფს და სამთავრობო ექსპერტებს, ასევე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის იურიდიულ დეპარტამენტს. ავტორებმა გაითვალისწინეს ეს კომენტარები და შეიმუშავეს კვლევის საბოლოო ტექსტი.

ძირითადი დასკვნების შეჯამება

ჟენევის კონვენციების დებულებების უმეტესობა, მათ შორის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად მიიჩნევა.³³ ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ჟენევის კონვენციებს 192 ხელშემკვერელი მხარე ჰყავს, მას, როგორც სახელმწიფოებო სამართალს, თითქმის ყველა სახელმწიფოსთვის სამართლებრივად მხოლოდ ძალა აქვს. ამრიგად, კვლევის მთავარი მიზანი არ ყოფილა კონვენციებით გათვალისწინებული დებულებების ჩვეულებითი ხასიათის დადგენა. კვლევა უმთავრესად ისეთი ხელშემკვერულებით რეგულირებულ საკითხებს შეეხება, რომლებიც უნივერსალური რატიფიკაციით არ სარგებლობენ; კერძოდ, ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმები, ჰააგის კონვენცია კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ და სხვა არაერთი სპეციალური კონვენცია, რომელიც იარაღის გამოყენებას არეგულირებს.

ქვემოთ მოცემული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესების აღწერა მიზნად არ ისახავს იმის ახსნას, თუ რატომ მიიჩნია კვლევამ ცალკეული წესები ჩვეულებითი სამართლის ნაწილად. აქ არც ის პრაქტიკაა მოყვანილი, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდა ამ დასკვნების გამოტანა. კონკრეტული წესის ჩვეულებითი ხასიათზე ახსნა-განმარტება მოცემულია კვლევის I ტომში, ხოლო შესაბამისი პრაქტიკისა - II ტომში.

საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები

ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით მოხდა არაერთი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის კოდიფიკაცია; სხვა წესებმა საფუძველი ჩაუყარეს ჩვეულებითი სამართლის ახალი წესების ჩამოყალიბებას. კვლევის ფარგლებში მოძიებული პრაქტიკა ადასტურებს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მნიშვნელოვან გავლენას სახელმწიფოთა პრაქტიკაზე, არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ - არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებშიც (იხილეთ ქვემოთ). კერძოდ, კვლევამ ცხადყო, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები ფართო მხარდაჭერით სარგებლობენ; შეიძლება ითქვას, იმაზე მეტადაც კი,

³³ International Court of Justice, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, op. cit. (note 8), გვ. 257–258, §§ 79 and 82 (ჟენევის კონვენციებთან მიმართებით) და *Case concerning Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua*, op. cit. (note 12), გვ. 114, § 218 (ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლთან მიმართებით).

ვიდრე ამას ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის რატიფიკაციის სტატუსი მიანიშნებს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მიზნად არ ისახავს ხელშეკრულების ცალკეული დებულებების ჩვეულებითი ხასიათის დადგენას, ცხადი გახდა, რომ ჩვეულებითი სამართლის ბევრი ნორმა სახელშეკრულებო სამართლის დებულებების იდენტური ან მსგავსია. მაგალითად: ერთის მხრივ, სამოქალაქო პირებისა და კომბატანტების განსხვავებისა და მეორეს მხრივ, სამოქალაქო ობიექტებისა და სამხედრო სამიზნეების განსხვავების პრინციპი;³⁴ განურჩეველი თავდასხმების აკრძალვა;³⁵ თავდასხმის დროს პროპორციულობის პრინციპის დაცვა;³⁶ თავდასხმის განხორციელების პროცესში და თავდასხმის შედეგებისგან დაცვის დროს გამოსაყენებელი სიფრთხილის ზომები;³⁷ სამედიცინო და რელიგიური პერსონალის, სამედიცინო დანაყოფებისა და ტრანსპორტის,³⁸ ჰუმანიტარული დახმარების პერსონალისა და ობიექტების,³⁹ და სამოქალაქო ჟურნალისტების პატივისცემისა და დაცვის პრინციპი;⁴⁰ სამედიცინო საქმიანობის დაცვის ვალდებულება;⁴¹ დაუცველ მდებარეობებზე და დემილიტარიზებულ ზონებზე თავდასხმის აკრძალვა;⁴² მოწინააღმდეგე მხარის *hors de combat* პირების დაცვის ვალდებულება;⁴³ შიმშილის, როგორც ომის მეთოდის აკრძალვა;⁴⁴ სამოქალაქო მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე თავდასხმის აკრძალვა;⁴⁵ ემბლემის არასათანადო გამოყენებისა და ვერაგობის აკრძალვა;⁴⁶ სამოქალაქო პირებისა და *hors de combat* პირების ფუნდამენტური გარანტიების დაცვა;⁴⁷ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების ვალდებულება;⁴⁸ ქალებსა და ბავშვებისთვის მინიჭებული განსაკუთრებული დაცვა.⁴⁹

არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები

ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული პრაქტიკა მიანიშნებს საერთაშორისო ყველა სახის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჰუმანიტარული სამართლის

³⁴ იხილეთ Customary International Humanitarian Law, op. cit. (note 4), Vol. I, წესები 1 და 7.

³⁵ *Ibid.*, წესები 11-13.

³⁶ *Ibid.*, წესი 14.

³⁷ *Ibid.*, წესები 15-24.

³⁸ *Ibid.*, წესები 25 და 27-30.

³⁹ *Ibid.*, წესები 31-32.

⁴⁰ *Ibid.*, წესი 34.

⁴¹ *Ibid.*, წესი 26.

⁴² *Ibid.*, წესები 36-37.

⁴³ *Ibid.*, წესები 46-48.

⁴⁴ *Ibid.*, წესი 53.

⁴⁵ *Ibid.*, წესი 54.

⁴⁶ *Ibid.*, წესები 57-65.

⁴⁷ *Ibid.*, წესები 87-105.

⁴⁸ *Ibid.*, წესი 117.

⁴⁹ *Ibid.*, წესები 134-137.

შესრულების მნიშვნელობაზე. ამ პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში მოქმედი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესების ჩამოყალიბების პროცესში. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მსგავსად, ჟენევის კონვენციების II დამატებით ოქმს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოთა პრაქტიკაზე; შედეგად, დღეს მიიჩნევა, რომ ამ ინსტრუმენტის არაერთი დებულება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება. ასეთ წესებს განეკუთვნება: სამოქალაქო პირებზე თავდასხმის აკრძალვა;⁵⁰ სამოქალაქო და რელიგიური პერსონალის, სამედიცინო დანაყოფებისა და ტრანსპორტის პატივისცემისა და დაცვის ვალდებულება;⁵¹ სამედიცინო მოვალეობების დაცვის ვალდებულება;⁵² შიმშილის, როგორც ომის მეთოდის გამოყენების აკრძალვა;⁵³ სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე თავდასხმის აკრძალვა;⁵⁴ სამოქალაქო პირებისა და *hors de combat* პირების დაცვის ფუნდამენტური გარანტიების დაცვის ვალდებულება;⁵⁵ გარდაცვლილ პირთა მოძიებისა და პატივისცემის ვალდებულება;⁵⁶ დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მოძიების, მათი დაცვისა და პატივისცემის ვალდებულება;⁵⁷ თავისუფლებადკვეთილი პირების დაცვის ვალდებულება;⁵⁸ სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გადაადგილების აკრძალვა;⁵⁹ ქალებისა და ბავშვებისთვის მინიჭებული განსაკუთრებული დაცვა.⁶⁰

თუმცა, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის უმთავრესი მნიშვნელობა შიდა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგებისას იმაში მდგომარეობს, რომ ის სცდება ჟენევის კონვენციების II დამატებით ოქმს. და მართლაც, პრაქტიკამ შექმნა ჩვეულებითი სამართლის არაერთი წესი, რომელიც უფრო დეტალურია, ვიდრე ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ხშირად საკმაოდ მოკრძალებული დებულებები. ამრიგად, ჩვეულებითი სამართლის წესები მნიშვნელოვნად ავსებს შიდა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელ სახელმწიფოებო ნორმებს.

მაგალითად, ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი მოიცავს რუდიმენტულ წესს საომარი მოქმედებების შესახებ. მე-13 მუხლის თანახმად, “სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც ასეთი, ისევე როგორც ცალკეული სამოქალაქო პირები არ უნდა გახდეს თავდასხმის ობიექტი ... გარდა იმ შემთხვევისა და პერიოდისა, როდესაც ისინი უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში”. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმისგან განსხვავებით ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი არ მოიცავს სპეციალურ დებულებებს განსხვავებისა და პროპორციულობის პრინციპის შესახებ.

⁵⁰ *Ibid.*, წესი 1.

⁵¹ *Ibid.*, წესები 25 და 27-30.

⁵² *Ibid.*, წესი 26.

⁵³ *Ibid.*, წესი 53.

⁵⁴ *Ibid.*, წესი 54.

⁵⁵ *Ibid.*, წესები 87-105.

⁵⁶ *Ibid.*, წესები 109-111.

⁵⁷ *Ibid.*, წესები 112-113.

⁵⁸ *Ibid.*, წესები 118-119, 121 და 125.

⁵⁹ *Ibid.*, წესი 129.

⁶⁰ *Ibid.*, წესები 134-137.

თუმცა, საომარო მოქმედებების საკითხზე ჟენევის კონვენციების II დამატებით ოქმში არსებული ხარვეზები დიდწილად შეივსო სახელმწიფო პრაქტიკით. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით გაწერილი ნორმების პარალელური წესის შექმნას, რომელიც ჩვეულებითი სამართლის სახით ვრცელდება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებზე. აღნიშნული მოიცავს საომარი მოქმედებების მარეგულირებელ პრინციპებს და წესებს, განსაკუთრებული დაცვით მოსარგებლე პირებისა და ობიექტების, ასევე, ომის წარმოების სპეციფიკური მეთოდების შესახებ.⁶¹

ანალოგიურად, ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი მოიცავს მხოლოდ ზოგად დებულებებს სამოქალაქო მოსახლეობისთვის გამიზნული ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. მე-18(2) მუხლის თანახმად, “თუ სამოქალაქო მოსახლეობა განიცდის უკიდურეს გაჭირვებას საარსებოდ აუცილებელი საშუალებების [...] მოწოდების უკმარისობის გამო [...] ტარდება სამოქალაქო მოსახლეობის დახმარების ოპერაციები, რომელიც მხოლოდ ჰუმანიტარულ და მიუკერძოებელ ხასიათს ატარებს და ყოველგვარი დისკრიმინაციული განსხვავების გარეშე ხორციელდება”. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმისგან განსხვავებით, ჟენევის კონვენციების II დამატებით ოქმში არ არის სპეციალური დებულება ჰუმანიტარული დახმარების პერსონალისა და ობიექტების დაცვისა და პატივისცემის შესახებ. ამ ინსტრუმენტის არცერთი დებულება არ ავალდებულებს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ნება დართონ და ხელი შეუწყონ სამოქალაქო მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხებლად მიწოდებას. ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმით ჰუმანიტარული დახმარების პერსონალს გადაადგილების თავისუფლებაც არ ენიჭება, რაც, თავის მხრივ აუცილებელია მათი საქმიანობის განხორციელებისთვის. თუმცა, შეიძლება ვიდავოთ, რომ ასეთი მოთხოვნა არაპირდაპირ არის გაწერილი დამატებითი ოქმის მე-18(2) მუხლში. თუმცა, უდავოა, რომ ფართოდ გავრცელებული, წარმომადგენლობითი და თითქმის სრულად ერთგვაროვანი პრაქტიკის გათვალისწინებით ეს მოთხოვნა არაორაზროვნად ჩამოყალიბდა როგორც საერთაშორისო, ისე - არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელ ჩვეულებით სამართლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟენევის კონვენციების I და II დამატებითი ოქმების თანახმად ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობაა დაინტერესებული მხარეების თანხმობა.⁶² კვლევის ფარგლებში შეგროვებული პრაქტიკა ამ მოთხოვნის აუცილებლობაზე არ მიუთითებს. ცხადია, რომ ჰუმანიტარული ორგანიზაცია დაინტერესებული მხარის თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ვერ განხორციელებს თავის საქმიანობას. ამავდროულად, ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმა თვითნებური ხასიათის არ უნდა იყოს. თუკი სამოქალაქო მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა და ჰუმანიტარულ ორგანიზაციას, რომელიც ასეთ საქმიანობას მიუკერძოებლობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების დაცვით ახორციელებს, შეუძლია მოცემული სიტუაციის გადაჭრა, შეიარაღებული კონფლიქტის მხარე

⁶¹ მაგალითად, იხილეთ *ibid.*, წესები 7-10 (სამოქალაქო ობიექტებისა და სამხედრო სამიზნეების განსხვავება), წესები 11-13 (განურჩეველი თავდასხმები), წესი 14 (პროპორციულობის პრინციპი თავდასხმის დროს), წესები 15-21 (სიფრთხილის ზომები თავდასხმის დროს); წესები 22-24 (სიფრთხილის ზომები თავდასხმის შედეგების წინააღმდეგ); წესები 31-32 (ჰუმანიტარული დახმარების პერსონალი და ობიექტები); წესი 34 (სამოქალაქო ჟურნალისტები); წესები 35-37 (დაცული ზონები); წესები 46-48 (ისეთი ბრძანების გაცემის აკრძალვა, რომ არავინ უნდა გადარჩეს); წესები 55-56 (თანხმობა ჰუმანიტარულ დახმარების განხორციელებაზე) და წესები 57-65 (მოტყუება).

⁶² იხილეთ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 70(1) მუხლი და ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმის 18(2) მუხლი.

ვალდებულია გასცეს თანხმობა.⁶³ მიუხედავად იმისა, რომ თანხმობაზე უარის თქმა თვითნებური არ უნდა იყოს, პრაქტიკაში აღიარებულია, რომ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ჰუმანიტარული საქმიანობა და ჰუმანიტარული დახმარების პერსონალს ქმედებები ზედამხედველობას დაუქვემდებაროს, რათა უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა ტერიტორიაზე შეღწევისა და მოქმედი უსაფრთხოების ზომების შესახებ.

საკითხები, რომლებიც შემდგომ გარკვევას საჭიროებს

კვლევამ, ასევე, ცხადყო, რომ ცალკეულ სფეროებში პრაქტიკა საკმაოდ გაურკვეველია. მაგალითად, ტერმინები “კომბატანტი” და “სამოქალაქო პირები” საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელი სამართლით არაორაზროვნად არის განმარტებული.⁶⁴ არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებით პრაქტიკა ბუნდოვანია. შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას, თუ საომარი მოქმედებების შესახებ წესების მნიშვნელობისთვის რა სტატუსით ისარგებლებენ შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების წევრები, ანუ, შეიარაღებულ ძალების წევრებად ჩაითვლებიან, თუ - სამოქალაქო პირებად. კერძოდ, არსებული პრაქტიკაზე დაყრდნობით, რთული სათქმელია, ჩაითვლებიან თუ არა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფის წევრები სამოქალაქო პირებად, რომლებიც უშუალო თავდასხმისაგან დაცვას მხოლოდ საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის შემთხვევაში და ასეთი ქმედებების განხორციელების პერიოდით დაკარგავენ, თუ - ორგანიზებული ჯგუფის წევრობის გათვალისწინებით მათზე თავდასხმა ნებისმიერ დროს იქნება დაშვებული. ეს ბუნდოვანება სახელშეკრულებო სამართალშიც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის კონვენციების II დამატებით ოქმში არაერთხელ არის გამოყენებული ტერმინები - სამოქალაქო პირი და სამოქალაქო მოსახლეობა, ეს ინსტრუმენტი არ ითვალისწინებს ზემოხსენებული ტერმინების განმარტებას.⁶⁵ იგივე სირთულეს ვხვდებით ასევე, მოგვიანებით მიღებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც, რომლებიც არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებზე ვრცელდება, ტერმინები სამოქალაქო პირები და სამოქალაქო მოსახლეობა განმარტების გარეშე გამოიყენება.⁶⁶

“საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის” ცნების ზუსტი განმარტების არარსებობა სირთულეებს ქმნის როგორც საერთაშორისო, ისე - არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებშიც. ამკარაა, და არავინ დაობს, რომ თუკი სამოქალაქო პირი იარაღის ან სხვა საშუალებების გამოყენებით აყენებს ზიანს მოწინააღმდეგე მხარის პერსონალს ან ინფრასტრუქტურას, ის დაკარგავს უშუალო თავდასხმისაგან დაცვას. თუმცა, არსებობს პრაქტიკა, რომელსაც არანაირი ან ძალიან მცირე წვლილი შეაქვს “უშუალო მონაწილეობის” ცნების განმარტების პროცესში. ამის ნათელი მაგალითია წესები, რომელთა თანახმად საკითხი ყოველ კონკრეტულ საქმეში

⁶³ იხილეთ Yves Sandoz, Christophe Swinarski, Bruno Zimmermann (eds.), *Commentary on the Additional Protocols*, ICRC, Geneva, 1987, § 4885; აგრეთვე იხილეთ § 2805.

⁶⁴ იხილეთ Customary International Humanitarian Law, op. cit. (note 4), Vol. I, წესი 3 (კომბატანტები), წესი 4 (შეიარაღებული ძალები) და წესი 5 (სამოქალაქო პირები და სამოქალაქო მოსახლეობა).

⁶⁵ ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი, 13-15 და 17-18 მუხლები.

⁶⁶ მაგალითისთვის, იხილეთ Amended Protocol II to the Convention on Certain Conventional Weapons, მუხლი 3(7)–(11); Protocol III to the Convention on Certain Conventional Weapons, მე-2 მუხლი; Ottawa Convention on the Prohibition of Anti-personnel Mines, preamble; Statute of the International Criminal Court, მუხლი 8(2)(e)(i), (iii) და (viii).

დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს; ან ზოგადი წესის გამეორება, რომლის მიხედვითაც საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის შემთხვევაში სამოქალაქო პირი კარგავს დაცვას უშუალო თავდასხმისაგან. აღნიშნულ საკითხთან მჭიდრო კავშირშია შეკითხვა, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის სტატუსი და მისი ქმედება ეჭვის არსებობის შემთხვევაში. ამ და სხვა სირთულეების გათვალისწინებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი 2003 წლიდან ექსპერტთა შეხვედრების სერიების ფარგლებში მუშაობს საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის ცნების განმარტების საკითხზე.⁶⁷

კიდევ ერთი სამართლებრივი საკითხი, რომლის მოქმედების სფეროს ზუსტი განსაზღვრაც პრაქტიკაში საკმაოდ დიდ პრობლემებს უკავშირდება, თავდასხმის ფარგლებში პროპორციულობის პრინციპის დაცვაა. კვლევის ფარგლებში შესაძლებელი გახდა პროპორციულობის პრინციპის შესახებ საკმაოდ ფართო პრაქტიკის იდენტიფიცირება. თუმცა, აღნიშნული მაინც არ იძლევა საკითხის იმაზე მეტად დაკონკრეტების შესაძლებლობას, ვიდრე ამას სახელმწიფოებო სამართლის ნორმები ითვალისწინებს, ე.ი. სამხედრო უპირატესობისა და შემთხვევითი სამოქალაქო მსხვერპლის დაბალანსება.

ცალკეული წესები საომარი მოქმედებების შესახებ

ჟენევის კონვენციების I და II დამატებითი ოქმები ითვალისწინებენ ახალ წესებს, რომლებიც კრძალავენ თავდასხმას სახიფათო ძალის შემცველ დანადგარებსა და ნაგებობებზე. ამ წესის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ობიექტები სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენენ, მათზე თავდასხმა ისეთი სახიფათო ძალების გამოთავისუფლებას გამოიწვევს, რაც სამოქალაქო მოსახლეობისთვის მძიმე შედეგების მომტანი იქნება.⁶⁸ დანამდვილებით რთულია იმის თქმა, განეკუთვნება თუ არა ეს წესები საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. თუმცა, სახელმწიფო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოები აცნობიერებენ იმ რისკებს, რაც ასეთ დანადგარებსა და ნაგებობებზე თავდასხმებს უკავშირდება. შედეგად, ისინი აღიარებენ, რომ ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის დროს თავდასხმის განხორციელებისას განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სახიფათო ძალების გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით სამოქალაქო მოსახლეობისთვის მძიმე შედეგების მიყენების თავიდან აცილების მიზნით. ეს მოთხოვნა ნებისმიერი ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოქმედებს და ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება.

კიდევ ერთი ახალი წესი, რაც ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით გაითვალისწინეს, ბრძოლის ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას უკავშირდება, რომლებიც მიზნად ისახავს, ან რომლებმაც შესაძლოა ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ბუნებრივ გარემოს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მიღების შემდეგ აღნიშნულმა აკრძალვამ ისეთი ფართო მხარდაჭერა მოიპოვა სახელმწიფო პრაქტიკაში, რომ ის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად ჩამოყალიბდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სახელმწიფო გამუდმებით აღნიშნავს, რომ ეს წესი არ მოქმედებს ბირთვულ იარაღთან მიმართებით და ამრიგად, მათ მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში ეს წესი არ

⁶⁷ იხილეთ მაგალითად Direct Participation in Hostilities under International Humanitarian Law, Report prepared by the International Committee of the Red Cross, Geneva, September 2003, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.icrc.org.

⁶⁸ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 56(1) მუხლი (თუმცა, მე-2 პარაგრაფში მოცემული გამონაკლისი) და ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმის მე-15 მუხლი (გამონაკლისისების გარეშე).

გამოიყენება.⁶⁹ კვლევამ დაადგინა, რომ ამ სპეციალური წესის მიღმა, ბუნებრივი გარემო სამოქალაქო ობიექტად ითვლება და მისი დაცვა უზრუნველყოფილია იმ პრინციპებითა და წესებით, რომლებიც სხვა სამოქალაქო ობიექტების მიმართ გამოიყენება, ე.ი. განსხვავებისა და პროპორციულობის პრინციპები, ისევე როგორც სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებრივი გარემოს ნაწილზე თავდასხმა დაუშვებელი იქნება, თუკი ის სამხედრო სამიზნეს არ წარმოადგენს. ამავდროულად, თუკი მოსალოდნელია, რომ სხვა სამხედრო სამიზნეზე თავდასხმის შედეგად ბუნებრივ გარემოს ისეთი ზიანი მიადგება, რაც გადამეტებული იქნება კონკრეტულ და უშუალოდ მოსალოდნელ სამხედრო უპირატესობასთან მიმართებით, ასეთი თავდასხმა აკრძალული იქნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ბირთვული იარაღის* საქმეში აღნიშნა, რომ “კანონიერი სამხედრო მიზნების მისაღწევად აუცილებელი და პროპორციული ზომების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები”.⁷⁰ ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებული არიან საომარი მოქმედებების ფარგლებში ყველა სიფრთხილის ზომა მიიღონ, რათა თავიდან აიცილონ, და ყველა შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანონ გარემოსთვის მიყენებული შემთხვევითი ზიანი. ცალკეული სამხედრო ოპერაციების გარემოზე ზემოქმედების საკითხზე ზუსტი მეცნიერული ინფორმაციის არარსებობა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ ათავისუფლებს ასეთი სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებისგან.⁷¹

არის კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელიც ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმებით არ არის მოწესრიგებული. მაგალითად, ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმები არ მოიცავენ სპეციალურ დებულებას სამშვიდობო მისიების პერსონალისა და ობიექტების დაცვის შესახებ. თუმცა, პრაქტიკაში ასეთ პერსონალსა და ობიექტებს სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების მსგავსი დაცვა ენიჭებათ და დაუშვებელია მათზე უშუალო თავდასხმა. შედეგად, პრაქტიკაში ჩამოყალიბდა წესი, რომლის თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის შესაბამისად შექმნილი სამშვიდობო მისიების პერსონალი და ობიექტები უშუალო თავდასხმისაგან დაცულნი იქნებიან, თუკი მათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების მსგავსი სტატუსი ენიჭებათ. ეს წესი აღიარებულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებითაც. დღეისათვის ის ნებისმიერი ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედებს და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია.⁷²

საომარი მოქმედებების მარეგულირებელი არაერთი წესი გათვალისწინებულია ჰააგის რეგულაციებში. დიდი ხანია მიიჩნევა, რომ ეს რეგულაციები საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელი ჩვეულებითი სამართლის ნაწილია.⁷³ თუმცა, დღეისათვის სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ჰააგის რეგულაციებით გათვალისწინებული ზოგიერთი წესი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებშიც ვრცელდება, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. მაგალითად, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული ჩვეულებითი სამართლის

⁶⁹ იხილეთ Customary International Humanitarian Law, op. cit. (note 4), Vol. I, წესი 45.

⁷⁰ International Court of Justice, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, op. cit. (note 8), § 30.

⁷¹ იხილეთ Customary International Humanitarian Law, op. cit. (note 4), Vol. I, წესი 44.

⁷² *Ibid.*, წესი 33.

⁷³ იხილეთ International Military Tribunal at Nuremberg, *Case of the Major War Criminals*, Judgment, 1 October 1946, Official Documents, Vol. I, pp. 253–254.

წესის თანახმად, იკრძალება (1) მოწინააღმდეგე მხარის ქონების განადგურება ან ჩამორთმევა, თუკი ეს სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნებით არ არის განპირობებული; ამასთან, (2) მაროდიორობა იკრძალება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებშიც. მაროდიორობა არის კერძო და პირადი მოხმარების მიზნით მოწინააღმდეგე მხარის მიკუთვნებული სუბიექტების კერძო საკუთრების ძალისმიერი მითვისება.⁷⁴ ზემოთ მოყვანილი ორივე აკრძალვა გავლენას არ ახდენს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების უფლებაზე, რომ ალაფად დაისაკუთრონ მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო აღჭურვილობა.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მეთაურებს შეუძლიათ კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით არამიტრული ხასიათის კონტაქტი დაამყარონ მოწინააღმდეგე მხარესთან. თუმცა, ასეთი კონტაქტი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უნდა ხორციელდებოდეს. პრაქტიკა მიუთითებს, რომ ასეთი კომუნიკაცია შესაძლოა განხორციელდეს შუამავლის (მაგალითად, *პარლამენტარების* გამოყენებით), ან რადიო თუ სატელეფონო საშუალებებით. *პარლამენტარი* არის პირი, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს მიეკუთვნება და უფლებამოსილია კომუნიკაცია დაამყაროს მოწინააღმდეგე მხარესთან; ეს პირები ხელშეუხებლობით სარგებლობენ. ტრადიციულად, *პარლამენტარები* მოწინააღმდეგე მხარეს თავიანთი მისიის შესახებ თეთრი დროშის დემონსტრირებით აცნობებენ; ეს პრაქტიკა დღესაც არის გავრცელებული. ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს შეუძლიათ მესამე მხარეს სთხოვონ კომუნიკაციის წარმართვა. ასეთი როლი შეიძლება იკისრონ მფარველმა სახელმწიფოებმა, ან, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების თანხმობით ამ ფუნქციებს შეითავსებს მიუკერძოებელი და ნეიტრალური ჰუმანიტარული ორგანიზაცია, როგორცაა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ან სამშვიდობო მისია. კვლევის ფარგლებში შეგროვილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არაერთ დაწესებულებას და ორგანიზაციას აქვს შესრულებული შუამავლის როლი როგორც საერთაშორისო, ისე - არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში. *პარლამენტარების* შესახებ წესები ჯერ კიდევ ჰააგის რეგულაციებში იყო გათვალისწინებული და დიდი ხანია მიიჩნევა საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნაწილად. უკანასკნელი 50 წლის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვეულებითი სამართლის ეს წესი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებშიც გამოიყენება.⁷⁵

პრაქტიკაში იკვეთება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორი უმთავრესი წესი. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებულნი არიან განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ, რათა სამხედრო ოპერაციების დროს თავიდან აიცილონ ზიანის მიყენება ისტორიული ძეგლებისთვის და ისეთი ობიექტებისათვის, რომლებიც რელიგიის, კულტურის, მეცნიერების, განათლების ან საქველმოქმედო მიზნებისთვისაა განკუთვნილი, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს ობიექტები სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენენ. ეს წესი ჯერ კიდევ ჰააგის რეგულაციებით იყო გათვალისწინებული. აგრეთვე იკრძალება ასეთი ობიექტებისა და ძეგლების ჩამორთმევა, ისევე როგორც მათი განზრახ განადგურება ან დაზიანება. ეს წესები უკვე დიდი ხანია მიიჩნევა ჩვეულებითი

⁷⁴ იხილეთ Elements of Crimes for the International Criminal Court, მაროდიორობა როგორც სამხედრო დანაშაული (Statute of the International Criminal Court, მუხლი 8(2)(b)(xvi) და (e)(v)).

⁷⁵ იხილეთ Customary International Humanitarian Law, op. cit. (note 4), Vol. I, წესები 67–69.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნაწილად. დღეისათვის, ეს ჩვეულებითი ნორმები არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების დროსაც მოქმედებს.

აღნიშნულ საკითხზე სპეციალურ დებულებებს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ 1954 წლის ჰააგის კონვენციაც ითვალისწინებს. კონვენცია იცავს “ხალხთა კულტურული მემკვიდრეობისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ობიექტებს” და ქმნის სპეციალურ განმასხვავებელ ნიშანს ასეთი ობიექტების იდენტიფიკაციისთვის. დღეისათვის ჩვეულებითი სამართალი მოითხოვს, რომ ასეთი ობიექტები არ გახდნენ თავდასხმის სამიზნე. ამავდროულად, ეს ობიექტები არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი მიზნებისთვის, რაც გაზრდის მათი განადგურების ან დაზიანების რისკს, თუკი ამას სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს. აგრეთვე იკრძალება კულტურული ფასეულობების ძარცვა, მაროდობა და მითვისება, ან მათ წინააღმდეგ ვანდალური ქმედებების განხორციელება. ეს აკრძალვები შესაბამისობაშია ჰააგის მეოთხე კონვენციის დებულებებთან და ადასტურებენ რომ ამ კონვენციამ უდიდესი გავლენა მოახდინა სახელმწიფო პრაქტიკაზე მნიშვნელოვანი კულტურული ფასეულობების დაცვის სფეროში.

იარაღი

ზოგადი პრინციპები, რომლითაც იკრძალება გადამეტებული ზიანისა და არასაჭირო ტანჯვის გამომწვევი იარაღისა და განურჩეველი მოქმედების იარაღის გამოყენება, ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება და ყველა სახის შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედებს. ამასთან, ზემოთ მოყვანილ პრინციპებზე დაყრდნობით საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ზოგადად კრძალავს ცალკეული სპეციფიური იარაღის გამოყენებას, ან მათი გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებს. ასეთ იარაღს განეკუთვნება: საწამლავი ან მოწამლული იარაღი; ბიოლოგიური იარაღი; ქიმიური იარაღი; მასობრივი არეულობების ჩახშობის დროს გამოსაყენებელი საშუალებების ბრძოლის მეთოდად გამოყენება; ჰერბიციდების იარაღის მეთოდად გამოყენება;⁷⁶ ტყვიები, რომლებიც ფართოვდება ან ბრტყელდება ადამიანის სხეულში; ქვეითსაწინააღმდეგო ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადამიანის სხეულში ფეთქდება; იარაღი, რომლის ფრაგმენტების აღმოჩენა ადამიანის სხეულში მოხვედრის შემდეგ რენტგენის საშუალებითაც კი შეუძლებელია; სამხედრო ხაფანგები, რომლებიც დაკავშირებულია ან ასოცირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით სპეციალური დაცვით მოსარგებლე პირებთან ან ობიექტებთან, ან ისეთ ნივთთან, რომელიც სამოქალაქო პირების ყურადღებას მიიქცევს; ლაზერული იარაღი, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი (და ეს მისი ერთადერთი ან ერთ-ერთი საბრძოლო ფუნქციაა) რათა მუდმივი სიბრძნვე გამოიწვიოს.

ზოგიერთი იარაღი თავისთავად არ იკრძალება ჩვეულებითი სამართლით, თუმცა, მათი გამოყენების მიმართ შეზღუდვები მოქმედებს. ასეთ იარაღს განეკუთვნება, მაგალითად, ნალმები და ცეცხლის გამჩენი იარაღი.

⁷⁶ ეს წესი მიუთითებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის არაერთ სხვა წესზე, მათ შორისაა: ბიოლოგიური და ქიმიური იარაღების აკრძალვა; ისეთ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ნარგავებზე თავდასხმა, რომლებიც სამხედრო სამიზნეებს არ წარმოადგენენ; კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობაზე გადამეტებული შემთხვევითი სამოქალაქო მსხვერპლის, სხეულის დაზიანების, სამოქალაქო ობიექტების განადგურების ან მათი ერთობლიობის გამომწვევი თავდასხმების აკრძალვა; ბუნებრივი გარემოს ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი თავდასხმების აკრძალვა. იხილეთ *ibid.*, წესი 76.

შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ნაღმების განურჩეველი ეფექტების შემცირებისთვის. აღნიშნული მოიცავს, მაგალითად, ნაღმების განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების შეგროვებას. ამასთან, აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, შეიარაღებული კონფლიქტის მხარე, რომელმაც ეს ნაღმები განათავსა, ვალდებულია ამოიღოს ეს ნაღმები ან სხვაგვარად გააუვნებელყოს ისინი, რათა სამოქალაქო მოსახლეობას ზიანი არ მიაღდეს.

ოტავის კონვენციის 140-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებასთან ერთად, სახელმწიფოების უმეტესობის მიმართ ვრცელდება სახელშეკრულებო ვალდებულება, რომ აღარ გამოიყენონ, შექმნან, შეინახონ ან სხვა მხარეს გადასცენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. კონვენციის არახელშემკვერილი სახელმწიფოების საპირისპირო პრაქტიკის გათვალისწინებით ეს აკრძალვა ამ დროისთვის ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის ნაწილი არ არის. თუმცა, თითქმის ყველა სახელმწიფო (მათ შორის ის სახელმწიფოები, რომლებიც ოტავის კონვენციის მხარეები არ არიან და ამრიგად არ ეთანხმებიან დაუყოვნებლივ აკრძალვას) აღიარებს, რომ საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა, რათა მომავალში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები სრულად აიკრძალოს.

ცეცხლის გამჩენი იარაღის ადამიანების წინააღმდეგ გამოყენება აკრძალულია, თუკი პრაქტიკულად შეუძლებელი არ არის უფრო ნაკლები ზიანის მომტანი იარაღის გამოყენება მოწინააღმდეგე ძალების მებრძოლთა გასანეიტრალებლად. ამასთან, ასეთი იარაღის გამოყენების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა მაქსიმალურად აირიდონ თავიდან სამოქალაქო მსხვერპლი, სამოქალაქო პირებისთვის სხეულის დაზიანების მიყენება ან სამოქალაქო ობიექტების განადგურება.

ეს წესები იმ სახელშეკრულებო ნორმების მსგავსია, რომლებიც საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედებს. ასეთი მიდგომა შეიცვალა, მაგალითად, 1996 წელს ცალკეული კონვენციური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის მეორე დამატებით ოქმში განხორციელებული ცვლილებებით. შედეგად, აღნიშნული წესი გავრცელდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებზეც. ამასთან, 2001 წელს ცალკეული სახეობის ჩვეულებრივი იარაღის შესახებ კონვენციაში განხორციელებული ცვლილებებით I-IV დამატებითი ოქმების მოქმედების სფერო არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებზეც გავრცელდა. ამრიგად, ზემოთ განხილულ სფეროებში მოქმედი ჩვეულებითი ხასიათის აკრძალვები და შეზღუდვები ყველა ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში ვრცელდება.

იმ პერიოდში, როდესაც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევის მომზადება დაევა, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო განიხილავდა ბირთვული იარაღის გამოყენებისა და მუქარის კანონიერების საკითხს. სასამართლოს მიერ ამ საკითხზე საკონსულტაციო დასკვნის მომზადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ სთხოვა. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა გადაწყვიტა ეს საკითხი აღარ გამოეკვლია. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნაში ერთხმად აღიარა, რომ “ბირთვული იარაღის გამოყენება ან მუქარა შეიარაღებული კონფლიქტის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებსაც უნდა იცავდეს, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებსა და წესებს”.⁷⁷

⁷⁷ International Court of Justice, *Legality of the Threat or Use of Nuclear Weapons*, op. cit. (note 8), გვ. 226.

სასამართლოს მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის შემუშავების მიზნით გამართული მოლაპარაკებების ფარგლებში სახელმწიფოებმა ნათლად დააფიქსირეს მოსაზრება, რომ დამატებითი ოქმის მოქმედება არ გავრცელდებოდა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საომარი მოქმედებების შესახებ წესები და იარაღის გამოყენების მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები ბირთვული იარაღის გამოყენების მიმართაც მოქმედებს. სასამართლომ ამ პრინციპებსა და წესებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ “ბირთვული იარაღის გამოყენება ან მუქარა, როგორც წესი, წინააღმდეგობაში მოვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედ საერთაშორისო სამართლის წესებთან, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესებთან და პრინციპებთან”.⁷⁸

დაცვის ძირითადი გარანტიები

დაცვის ძირითადი გარანტიები ვრცელდება შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ძალაუფლების ქვეშ მყოფ ყველა სამოქალაქო პირზე, ვინც არ ან აღარ იღებს უშუალო მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, ისევე როგორც *hors de combat* პირებზე. ვინაიდან დაცვის ძირითადი გარანტიები აერთიანებს ყველა პირის მიმართ გამოსაყენებელ ზოგად წესებს, კვლევის ფარგლებში დაცვის ეს გარანტიები ცალ-ცალკე არ არის განხილული თითოეული კატეგორიის პირებთან მიმართებით.

დაცვის ძირითადი გარანტიები აღიარებულია როგორც საერთაშორისო, ისე - არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მარეგულირებელ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში. კვლევის ფარგლებში დაცვის ძირითადი გარანტიების შესახებ წესები ტრადიციული, ჰუმანიტარული ენით არის ჩამოყალიბებული, ვინაიდან ასეთი ფორმულირებები ყველაზე უკეთ გამოხატავს ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმის შინაარს.⁷⁹ თუმცა, ცალკეული წესების ფორმულირება ისე ჩამოყალიბდა, რომ სათანადოდ გადმოეცა კონკრეტული საკითხის მარეგულირებელი დებულებების სიზუსტე და მრავალფეროვნება; ასეთ საკითხებს განეკუთვნება: არაანაზღაურებადი და არაჯანსაღი იძულებითი შრომის აკრძალვა, უგზო-უკვლოდ გაუჩინარებისა და თვითნებური დაკავების აკრძალვა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის ვალდებულება.⁸⁰

თუკი ცალკეული საკითხის განხილვის ფარგლებში რელევანტური იყო ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის მოშველიება, დაცვის ძირითადი

⁷⁸ *Ibid.*; აგრეთვე იხილეთ United Nations General Assembly, 51st session, First Committee, Statement by the International Committee of the Red Cross, UN Doc. A/C.1/51/PV.8, 18 October 1996, p. 10, reproduced in International Review of the Red Cross, No. 316, 1997, pp. 118–119 (“წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მიიჩნევს, რომ რთული წარმოსადგენია ბირთვული იარაღის გამოყენება ისე, რომ მან დააკმაყოფილოს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები”).

⁷⁹ აღნიშნული წესები მოიცავს: დაცვის ძირითად გარანტიებს - სამოქალაქო და *hors de combat* პირების ჰუმანურად და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის შესაბამისად მოპყრობას; მკვლელობის აკრძალვას; წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას; კოლექტიური დასჯის აკრძალვას; სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების აკრძალვას; გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების აკრძალვას; მონობისა და მონებით ვაჭრობის აკრძალვას; ტყვედ აყვანის აკრძალვას; “ადამიანი ფარების” გამოყენების აკრძალვას; სამართლიანი სასამართლოს უფლებას; სამოქალაქო პირებისა და *hors de combat* პირების რელიგიური გრძნობებისა და რწმენის დაცვის ვალდებულებას. იხილეთ *Customary International Humanitarian Law*, supra note 4, Vol. I, წესები 87–94, 96–97 და 100–104.

⁸⁰ *Ibid.*, წესები 95, 98–99 და 105.

გარანტიების შესახებ წესების ფარგლებში კვლევამ ეს ინფორმაციაც მოიცვა. როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი არაერთი ხელშეკრულება მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით შესაძლებელია საგანგებო მდგომარეობის დროს ცალკეული დებულებებიდან გადახვევა, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი განაგრძობს მოქმედებას შეიარაღებული კონფლიქტების დროს. შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებების სამართლის განგრძობითი მოქმედება დასტურდება არაერთი სახელმწიფოს პრაქტიკის, ისევე როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებით.⁸¹ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის კანონიერების საკითხზე მომზადებული საკონსულტაციო დასკვნის ფარგლებში სასამართლომ აღნიშნა, რომ “ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედი კონვენციებით გათვალისწინებული დაცვა არ წყდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს” და მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული საკითხები შესაძლოა მხოლოდ ადამიანის უფლებების სამართლით ან მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით რეგულირდებოდეს, არსებობს არაერთი საკითხი, რაც “სამართლის ორივე დარგით გათვალისწინებულ წესებს ექვემდებარება”.⁸² თუმცა, კვლევა მიზნად არ ისახავს ადამიანის უფლებების ჩვეულებითი სამართლის შეფასებას. ადამიანის უფლებების სამართლის სფეროში ჩამოყალიბებული პრაქტიკა კვლევაში მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების გაძლიერების, მხარდაჭერისა და დაკონკრეტების მიზნით არის მოყვანილი.

იმპლემენტაცია

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის შესახებ არსებული არაერთი წესი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი გახდა. კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები და უზრუნველყოს ამ ნორმების შესრულება თავისი შეიარაღებული ძალებისა და სხვა პირების ან ჯგუფების მიერ, რომლებიც რეალურად ექვემდებარებიან მათ მითითებებსა და კონტროლს. ამრიგად, შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე, მათ შორის ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები ვალდებულნი არიან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს. ეს ზოგადი ვალდებულებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სახითაც ვრცელდება არა მხოლოდ სახელმწიფოებზე, არამედ - ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებზეც. რთული სათქმელია, თუ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის რომელი წესები განეკუთვნება ჩვეულებით სამართალს, რომელიც ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებზეც გავრცელდება. მაგალითად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არაორაზროვნად ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს მისცენ მითითებები და ინსტრუქტაჟი სამართლის ამ დარგის ნორმების შესახებ. თუმცა, კონვენციები მსგავს ვალდებულებას არ ითვალისწინებს ორგანიზებული შეიარაღებულ ჯგუფებთან მიმართებით. ანალოგიურად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რომ უზრუნველყონ სამართლის მრჩეველების ხელმისაწვდომობა, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში მეთაურებს მიაწვდიან ინფორმაციას საერთაშორისო ჰუმანიტარული

⁸¹ იხილეთ *ibid.*, 32-ე თავის შესავალი, დაცვის ძირითადი გარანტიები.

⁸² International Court of Justice, *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, 9 July 2004, § 106.

სამართლის გამოყენების თაობაზე. ასეთი ვალდებულება ცალსახად არ არსებობს ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებთან მიმართებით.

ამასთან, სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ დარღვევებისთვის, რომლებიც მათ მიეწერებათ და ისინი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დარღვევებით გამოწვეული ზიანისა და დანაკარგის სრული რეპარაცია. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ეს წესები ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფების მიმართაც მოქმედებს თუ არა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფები ვალდებულნი არიან შეასრულონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები. ამავდროულად, ისინი “პასუხისმგებელი მეთაურობის ქვეშ” უნდა მოქმედებდნენ.⁸³ ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა წევრების მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის. პასუხისმგებლობის ფორმებისა და შედეგების საკითხი არ არის ნათელი. კერძოდ, ბუნდოვანია, თუ რამდენად ეკისრებათ ოპოზიციურ შეიარაღებულ ჯგუფებს სრული რეპარაციის ვალდებულება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ სახელმწიფოში მსხვერპლს უფლება აქვს სამოქალაქო წესით მოითხოვოს დანაშაულის შედეგად მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

რაც შეეხება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხს, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ყველა პირისთვის, რომელმაც ჩაიდინა სამხედრო დანაშაული, გასცა ბრძანება ასეთი დანაშაულის ჩადენისთვის, ან სხვაგვარად არის პასუხისმგებელი ასეთ ქმედებებზე, მათ შორის - მეთაურები და ზემდგომი პირები. სამხედრო დანაშაულის რეჟიმი, რაც ასეთი დანაშაულის გამოძიებასა და ეჭვმიტანილი პირების სისხლისსამართლებრივ დევნას ითვალისწინებს, ბოჭავს სახელმწიფოებს. ამ მიზნით სახელმწიფოებს შეუძლიათ საერთაშორისო ან შერეული ტრიბუნალებიც შექმნან.

დასკვნა

კვლევა მიზნად არ ისახავს, დაადგინოს ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თითოეული სახელშეკრულებო ნორმა. მისი მიზანია გააანალიზოს ცალკეული საკითხები, რათა დაადგინოს, თუ რომელი წესი წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს. აღნიშნული დასკვნების გაკეთება შესაძლებელია სახელმწიფოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. თუმცა, კვლევის ძირითადი დასკვნების მოკლე შეფასება მაინც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სახელშეკრულებო სამართლით გათვალისწინებულმა ნორმებმა და პრინციპებმა პრაქტიკაში დიდი მხარდაჭერა მოიპოვა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო ჩვეულებით სამართლის წესების ჩამოყალიბებაზე. ბევრი ასეთი პრინციპი და წესი დღეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია. ამრიგად, ეს წესები სახელმწიფოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო იქნება იმის მიუხედავად, მოახდინეს თუ არა მათ შესაბამისი ხელშეკრულების რატიფიკაცია. ანალოგიურად, ჩვეულებითი სამართლის წესები, რომლებიც არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში მოქმედებს, შესასრულებლად სავალდებულო იქნება ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფებისთვისაც.

კვლევა ადასტურებს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის არაერთი ნორმა მოქმედებს როგორც საერთაშორისო, ისე - არასაერთაშორისო ხასიათის

⁸³ ქენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი, 1(1) მუხლი.

კონფლიქტებში. ის აგრეთვე მიუთითებს, თუ რა სფეროებში განვითარდა სახელმწიფო პრაქტიკა იმგვარად, რომ წესები, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში მოქმედებდა, ახლა არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების მარეგულირებელი ჩვეულებითი სამართლის ნაწილიც არის. ამრიგად, შიდა ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს საომარი მოქმედებებისა და პირთა მოპყრობის მარეგულირებელი ჩვეულებითი სამართლის რეჟიმი ახლა უფრო დეტალური და სრულია, ვიდრე სახელშეკრულებო ნორმები. და მაინც, დამატებითი კვლევის საგანია, თუ რამდენად არის თუნდაც ასეთი - უფრო დეტალური და სრული - სამართლებრივი რეჟიმი საკმარისი ზემოხსენებული საკითხების დასარეგულირებლად, თუ საჭიროა ახალი წესების შემუშავება.

ისევე როგორც სახელშეკრულებო სამართლის შემთხვევაში, საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესრულებისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ნორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სამხედრო პერსონალის მომზადება და სამართლის აღსრულება. საჭიროა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების გადატანა სამხედრო სახელმძღვანელოებსა და ეროვნულ კანონმდებლობაში.

კვლევა აგრეთვე ცხადყოფს, რომ არსებობს სფეროები, სადაც სამართალი საკმარისად არაორაზროვანი არ არის. ამრიგად, საჭიროა ცალკეული სამართლებრივი საკითხების განმარტება და დაზუსტება. ასეთ სფეროებს განეკუთვნება, მაგალითად, სამოქალაქო პირის ცნება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში, საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის ცნება და პროპორციულობის პრინციპის ფარგლები და მისი გამოყენება პრაქტიკაში.

ამ დრომდე არსებული მიღწევებისა და მომავალში გასაწევი სამუშაოს გათვალისწინებით, არ უნდა ჩაითვალოს, რომ ამ კვლევის გამოქვეყნება პროცესის დასასრულია. უფრო მეტიც, ეს არის მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების უკეთ გაგებისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯი. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს სამართლის შესრულების, განმარტებისა და შესაძლო განვითარების საკითხზე დისკუსიას და დიალოგს.

დანართი. საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის წესების ჩამონათვალი

ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევის I ტომში მოცემულ დასკვნებს. ვინაიდან კვლევა მიზნად არ ისახავდა თითოეული სახელშეკრულებო ნორმის ჩვეულებითი ხასიათის დადგენას, წესების თანმიმდევრობა არ იმეორებს ხელშეკრულებების სტრუქტურას. ცალკეული წესის გავრცელების სფეროს შესახებ ინფორმაცია მოცემულია კვადრატულ ფრჩხილებში. აბრევიატურა IAC მიუთითებს ჩვეულებითი სამართლის წესზე, რომელიც საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში გამოიყენება. აბრევიატურა NIAC მიუთითებს ჩვეულებითი სამართლის წესზე, რომელიც არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტში გამოიყენება. ცალკეულ წესებთან მიმართებით კვლევა მიუთითებს, რომ ის “სავარაუდოდ” არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებშიც ვრცელდება. ამის მიზეზი ის არის, რომ კვლევის ფარგლებში შეგროვილი პრაქტიკა ზოგადად მიუთითებს ასეთი წესის არსებობაზე, თუმცა, ის ნაკლებად სიღრმისეული და ამომწურავია.

განსხვავების პრინციპი

განსხვავება სამოქალაქო პირებსა და კომბატანტებს შორის

წესი 1. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებული არიან ყოველთვის განასხვავონ სამოქალაქო პირები და კომბატანტები. თავდასხმა მხოლოდ კომბატანტების წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული. დაუშვებელია თავდასხმის მიმართვა სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. [IAC/NIAC]

წესი 2. აკრძალულია ძალადობის აქტი ან მუქარა, რომლის ძირითადი მიზანიც სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის დანერგვაა. [IAC/NIAC]

წესი 3. შეიარაღებული კონფლიქტის მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი ყველა პირი, სამედიცინო და რელიგიური პერსონალის გარდა, კომბატანტია. [IAC]

წესი 4. შეიარაღებული კონფლიქტის მხარის შეიარაღებული ძალები შედგება ყველა ორგანიზებული შეიარაღებული ძალის, ჯგუფის ან შენაერთისაგან, რომელთა სათავეშიც დგას ამ მხარის წინაშე თავის დაქვემდებარებაში მყოფ პირთა ქმედებაზე პასუხისმგებელი პირი. [IAC]

წესი 5. სამოქალაქო პირად ითვლება ნებისმიერი პირი, ვინც არ არის შეიარაღებული ძალების წევრი. სამოქალაქო მოსახლეობა შედგება ყველა იმ ადამიანისაგან, რომელიც სამოქალაქო პირია. [IAC/NIAC]

წესი 6. სამოქალაქო პირები სარგებლობენ თავდასხმისაგან დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა და პერიოდისა, როდესაც ისინი უშუალო მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში. [IAC/NIAC]

განსხვავება სამოქალაქო ობიექტებსა და სამხედრო ობიექტებს შორის

წესი 7. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა ყოველთვის უნდა განასხვავონ სამოქალაქო ობიექტები და სამხედრო სამიზნეები. თავდასხმა მხოლოდ სამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული. სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ თავდასხმის განხორციელება დაუშვებელია. [IAC/NIAC]

წესი 8. ობიექტებთან მიმართებით, სამხედრო სამიზნედ ჩაითვლება ცალკეული ობიექტი, რომელსაც თავისი ხასიათის, ადგილ-მდებარეობის, დანიშნულების ან გამოყენების თვალსაზრისით ეფექტური წვლილი შეაქვს საომარ მოქმედებებში და რომლის სრული ან ნაწილობრივი განადგურება, დაკავება ან ნეიტრალიზება მოცემულ გარემოებებში ცალსახა საომარ უპირატესობას იძლევა. [IAC/NIAC]

წესი 9. სამოქალაქო ობიექტია ყველა ობიექტი, რომელიც არ არის სამხედრო სამიზნე. [IAC/NIAC]

წესი 10. სამოქალაქო ობიექტები სარგებლობენ თავდასხმისაგან დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა და პერიოდისა, როდესაც ისინი სამხედრო სამიზნეს წარმოადგენენ. [IAC/NIAC]

განურჩეველი ხასიათის თავდასხმები

წესი 11. განურჩეველი ხასიათის თავდასხმები აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 12. განურჩეველია თავდასხმები:

- (a) რომლებიც, არ არის მიმართული კონკრეტული სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ;
- (b) რომლების განხორციელებისასაც გამოიყენება საომარი მოქმედებების წარმოების ისეთი მეთოდები ან საშუალებები, რომელთა მიმართაც კონკრეტული სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ შეუძლებელია; ან
- (c) რომლების განხორციელებისასაც გამოიყენება ომის წარმოების ისეთი მეთოდები ან საშუალებები, რომელთა შედეგების შეზღუდვაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შეუძლებელია;

და შედეგად, თითოეულ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ვერ განასხვავებს სამხედრო სამიზნეებსა და სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს. [IAC/NIAC]

წესი 13. აკრძალულია თავდასხმა დაბომბვის ნებისმიერი მეთოდის ან საშუალების გამოყენებით, რომლის დროსაც ერთიან სამხედრო სამიზნედ ითვლება მთელი რიგი ერთმანეთისგან განცალკევებული და განსხვავებული სამხედრო სამიზნეები, რომლებიც განლაგებულია ქალაქად, სოფლად ან სხვა რაიონში, სადაც ასევე კონცენტრირებულია სამოქალაქო მოსახლეობა ან სამოქალაქო ობიექტები. [IAC/NIAC]

პროპორციულობის პრინციპი თავდასხმის დროს

წესი 14. აკრძალულია ისეთი თავდასხმის განხორციელება, რომელიც გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა დაჭრას ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას, ან ასეთი შედეგების ერთობლიობას, რაც აღემატება ასეთი თავდასხმისგან მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას. [IAC/NIAC]

სიფრთხილის ზომები თავდასხმის დროს

წესი 15. საომარი მოქმედებების წარმოებისას მხარეებმა მუდმივად უნდა იზრუნონ სამოქალაქო მოსახლეობის, სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დასაზღვრად. პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში მიღებული უნდა იყოს წინდახედულობის ყველა ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევითი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა შემთხვევითი დაჭრა და სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება, და ნებისმიერ შემთხვევაში, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ასეთი ფაქტები. [IAC/NIAC]

წესი 16. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთოს რათა დარწმუნდეს, რომ თავდასხმის ობიექტი სამხედრო სამიზნეს წარმოადგენს. [IAC/NIAC]

წესი 17. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში ყველა სიფრთხილის ზომა მიიღოს თავდასხმის განხორციელების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევას, რათა თავიდან აიცილოს შემთხვევითი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა შემთხვევითი დაჭრა და სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება და, ნებისმიერ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანოს ასეთი ფაქტები. [IAC/NIAC]

წესი 18. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი იღონოს რათა დარწმუნდეს, რომ თავდასხმა არ გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა დაჭრას ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას, ან ამ ფაქტების ერთობლიობას, რაც აღემატება ასეთი თავდასხმისგან მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას. [IAC/NIAC]

წესი 19. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი იღონოს რათა გააუქმოს ან შეაჩეროს თავდასხმა, თუკი გაირკვევა, რომ თავდასხმის ობიექტი არ არის სამხედრო სამიზნე, ან თუ მოსალოდნელია, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა დაჭრას ან სამოქალაქო ობიექტების განადგურებას, ან ასეთი ფაქტების ერთობლიობას, რაც აღემატება ასეთი თავდასხმისგან მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას. [IAC/NIAC]

წესი 20. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს სამოქალაქო მოსახლეობა ისეთი მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სამოქალაქო მოსახლეობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებები ამის შესაძლებლობას არ იძლევა. [IAC/NIAC]

წესი 21. როდესაც თანაბარი სამხედრო უპირატესობის მოპოვებისთვის რამდენიმე სამხედრო სამიზნეს შორის არჩევანია შესაძლებელი, არჩევანი იმ სამიზნეზე უნდა შეჩერდეს, რომელზე თავდასხმაც სამოქალაქო პირების სიცოცხლესა და სამოქალაქო ობიექტებს მინიმალურ საფრთხეს შეუქმნის. [IAC/NIAC]

სიფრთხილის ზომები თავდასხმის შედეგებისგან დასაცავად

წესი 22. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ზომა მიიღოს, რათა თავდასხმის შედეგებისგან

დაიცვას მის კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები. [IAC/NIAC]

წესი 23. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად თავი შეიკავოს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში ან მათ მახლობლად სამხედრო სამიზნეების განლაგებისაგან. [IAC/NIAC]

წესი 24. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად გაიყვანოს მათ კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობა, სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები სამხედრო სამიზნეების მახლობლად განლაგებული რაიონებიდან. [IAC/NIAC]

განსაკუთრებული დაცვით მოსარგებლე პირები და ობიექტები

სამედიცინო და რელიგიური პერსონალი და ობიექტები

წესი 25. სამედიცინო პერსონალი, რომელიც განსაკუთრებულ სამედიცინო ფუნქციებს ასრულებს ყველა გარემოებებში პატივისცემითა და დაცვით უნდა სარგებლობდეს. ასეთი დაცვის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ის ჰუმანიტარული ფუნქციების მიღმა, მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის მომტან ქმედებებს ახორციელებს. [IAC/NIAC]

წესი 26. აკრძალულია სამედიცინო ეთიკის მოთხოვნების დაცვით სამედიცინო მოვალეობების შესრულებისთვის პირთა დასჯა ან მათი იძულება, რომ სამედიცინო ეთიკით აკრძალული საქმიანობა განახორციელონ. [IAC/NIAC]

წესი 27. სამედიცინო პერსონალი, რომელსაც განსაკუთრებული რელიგიური მოვალეობების შესრულება ევალება, ყველა გარემოებებში პატივისცემითა და დაცვით უნდა სარგებლობდეს. ასეთი დაცვის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ის ჰუმანიტარული ფუნქციების მიღმა, მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის მომტან ქმედებებს ახორციელებს. [IAC/NIAC]

წესი 28. სამედიცინო დანაყოფები, რომელთა დანიშნულება სამედიცინო ფუნქციების შესრულებაა, ყველა გარემოებაში პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ. ასეთი დაცვის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ასეთი ობიექტები, ჰუმანიტარული ფუნქციების მიღმა, მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის მომტანი ქმედებების განხორციელებისთვის გამოიყენება.

წესი 29. სამედიცინო მიზნებისთვის განკუთვნილი სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებები ყველა გარემოებაში პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ. ასეთი დაცვის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ეს ობიექტები, ჰუმანიტარული ფუნქციების მიღმა, მოწინააღმდეგე მხარისთვის ზიანის მომტანი ქმედებების განხორციელებისთვის გამოიყენება. [IAC/NIAC]

წესი 30. აკრძალულია თავდასხმა სამედიცინო და რელიგიურ პერსონალსა და ობიექტებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების დაცვით ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ემბლემით არის აღნიშნული. [IAC/NIAC]

ჰუმანიტარული დახმარების პერსონალი და ობიექტები

წესი 31. ჰუმანიტარული დახმარების პერსონალი და ობიექტები პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ. [IAC/NIAC]

წესი 32. ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების ფარგლებში გამოყენებული ობიექტები პატივისცემითა და დაცვით სარგებლობენ. [IAC/NIAC]

სამშვიდობო მისიაში მონაწილე პერსონალი და ობიექტები

წესი 33. აკრძალულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის შესაბამისად შექმნილ სამშვიდობო მისიაში მონაწილე პერსონალსა და ობიექტებზე თავდასხმა, თუკი ისინი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების მსგავსად არიან დაცულნი. [IAC/NIAC]

ჟურნალისტები

წესი 34. სამოქალაქო ჟურნალისტები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში თავიანთ პროფესიულ საქმიანობას ახორციელებენ, თავდასხმისაგან დაცვით სარგებლობენ, თუკი ისინი უშუალო მონაწილეობას არ იღებენ საომარ მოქმედებებში. [IAC/NIAC]

დაცული ზონები

წესი 35. საომარ მოქმედებების შედეგად დაჭრილ, ავადმყოფ და გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა თავშესაფარად მიზნით შექმნილ ზონებზე თავდასხმა აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 36. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შექმნილ დემილიტარიზებულ ზონებზე თავდასხმა აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 37. დაუცველ ზონებზე თავდასხმა აკრძალულია. [IAC/NIAC]

კულტურული ფასეულობები

წესი 38. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია პატივი სცეს კულტურულ ფასეულობებს:

- A. სამხედრო მოქმედებების ფარგლებში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა თავიდან აიცილონ რელიგიური, კულტურული, სამეცნიერო ან საქველმოქმედო საქმიანობისთვის განკუთვნილი შენობებისა და ისტორიული ძეგლების დაზიანება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ობიექტები სამხედრო სამიზნეებს წარმოადგენენ.
- B. ხალხთა კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ქონებაზე თავდასხმა აკრძალულია, თუკი ამას სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს.

[IAC/NIAC]

წესი 39. აკრძალულია ყველა ხალხთა კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების ისეთი მიზნებისთვის გამოყენება, რაც დიდი ალბათობით განაპირობებს მის განადგურებას ან დაზიანებას, თუკი ამას სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს. [IAC/NIAC]

წესი 40. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია დაიცვას კულტურული ფასეულობები:

- A. რელიგიური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, კულტურული და სამეცნიერო საქმიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დაწესებულებების, ისტორიული ძეგლების და ხელოვნებისა და მეცნიერების ნიმუშების ჩამორთმევა აკრძალულია.
- B. ხალხთა კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ისტორიული ფასეულობების მოპარვა, მაროდორობა ან მითვისება, ან ამ ნივთების მიმართ ვანდალური ქმედებების განხორციელება აკრძალულია.

[IAC/NIAC]

წესი 41. ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია, არ დაუშვას ოკუპირებული ტერიტორიებიდან კულტურული ფასეულობების უკანონო ექსპორტი და უკანონოდ გატანილი ქონება ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებს დაუბრუნოს. [IAC/NIAC]

სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები

წესი 42. სახიფათო ძალების გამოთავისუფლებისა და შედეგად გამოწვეული მნიშვნელოვანი სამოქალაქო მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ თუკი, თავდასხმის სამიზნეა სახიფათო ძალის შემცველი დანადგარები და ნაგებობები, კერძოდ, კაშხლები, დამბები და ბირთვული ელექტროსადგურები, და ასეთი ნაგებობების სიახლოვეს განლაგებული სხვა ობიექტები. [IAC/NIAC]

ბუნებრივი გარემო

წესი 43. საომარი მოქმედებების მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები ბუნებრივ გარემოზეც ვრცელდება:

- A. დაუშვებელია ბუნებრივი გარემოს ნაწილზე თავდასხმა, თუკი ის სამხედრო სამიზნეს არ წარმოადგენს.
- B. აკრძალულია ბუნებრივი გარემოს ნაწილის განადგურება, თუკი ამას სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს.
- C. აკრძალულია თავდასხმის განხორციელება სამხედრო სამიზნეზე, თუკი მოსალოდნელია, რომ აღნიშნული გამოიწვევს ბუნებრივი გარემოს დაზიანებას, რაც აღემატება ამ თავდასხმისგან მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას.

[IAC/NIAC]

წესი 44. ომის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების დროს აუცილებელია ბუნებრივი გარემოს დაცვისა და შენარჩუნების გათვალისწინება. საომარი მოქმედებების წარმართვისას საჭიროა ყველა სათანადო ზომის მიღება, რათა თავიდან იქნას აცილებული, ან ნებისმიერ შემთხვევაში, შემცირდეს ბუნებრივი გარემოსთვის შემთხვევით ზიანის მიყენება. ცალკეული სამხედრო ოპერაციების გარემოზე ზემოქმედების შესახებ ზუსტი

მეცნიერული ინფორმაციის არარსებობა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ ათავისუფლებს ასეთი სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებისგან. [IAC/NIAC]

წესი 45. აკრძალულია ომის ისეთი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც მიზნად ისახავენ, ან იწვევენ, ბუნებრივი გარემოსთვის ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას. დაუშვებელია ბუნებრივი გარემოს განადგურების ომის იარაღად გამოყენება. [IAC/სავარაუდოდ NIAC]

ომის წარმოების კონკრეტული მეთოდები

ბრძანება, რომ არავინ უნდა გადარჩეს

წესი 46. აკრძალულია ბრძანების გაცემა, რომ არავინ უნდა გადარჩეს, ისევე როგორც მოწინააღმდეგე მხარეების მიმართ ასეთი მუქარა ან საომარი მოქმედებების ამგვარად წარმართვა. [IAC/NIAC]

წესი 47. აკრძალულია *hors de combat* პირებზე თავდასხმა. *hors de combat* ჩაითვლება ყველა პირი, ვინც:

- (a) მოწინააღმდეგე მხარის ძალაუფლების ქვეშაა;
- (b) უგონოდ ყოფნის, გემის კატასტროფაში მოყოლის, დაჭრის ან ავადმყოფობის გამო დაუცველია; ან
- (c) ღიად გამოხატა დანებების სურვილი;

თუკი ის თავს იკავებს მტრული ქმედებებისგან და გაქცევას არ ცდილობს.

[IAC/NIAC]

წესი 48. აკრძალულია ხმელეთზე დაშვების პერიოდში იმ პირებზე თავდასხმა, რომლებიც განსაცდელში მყოფ საჰაერო ხომალდს პარაშუტით ტოვებენ. [IAC/NIAC]

ქონების განადგურება და ჩამორთმევა

წესი 49. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს შეუძლიათ სამხედრო ალაფის სახით მიითვისონ მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო აღჭურვილობა. [IAC]

წესი 50. დაუშვებელია მოწინააღმდეგე მხარის ქონების განადგურება და ჩამორთმევა, თუკი ეს სამხედრო აუცილებლობით არ არის განპირობებული. [IAC/NIAC]

წესი 51. ოკუპირებულ ტერიტორიებზე:

- (a) შესაძლებელია ისეთი მოძრავი საჯარო ქონების ჩამორთმევა, რომელიც სამხედრო ოპერაციებში გამოიყენება;
- (b) უძრავი საჯარო ქონების გამოყენებაზე გავრცელდება უზუფრუქტის წესები;
- (c) შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა პატივი უნდა სცენ კერძო საკუთრებას და დაუშვებელია მისი ჩამორთმევა;

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ქონების განადგურება ან ჩამორთმევა სამხედრო აუცილებლობით არის განპირობებული. [IAC]

წესი 52. მაროდობა აკრძალულია. [IAC/NIAC]

სამოქალაქო მოსახლეობის დამშევა და ჰუმანიტარული დახმარება

წესი 53. სამოქალაქო მოსახლეობის დამშევის როგორც ომის წარმოების საშუალების გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 54. სამოქალაქო მოსახლეობის გადარჩენისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე თავდასხმა, მათი განადგურება, ჩამორთმევა ან მწყობრიდან გამოყვანა აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 55. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა ყოველთვის უნდა დართონ ნება და ხელი შეუწყონ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების სწრაფად და შეუფერხებლად მიწოდებას, თუკი ასეთი დახმარება მიუკერძოებლობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაცვით ხორციელდება. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს უფლება აქვთ, ჰუმანიტარული საქმიანობა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ. [IAC/NIAC]

წესი 56. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ჰუმანიტარული დახმარების პერსონალის გადაადგილების თავისუფლება, თუკი ეს აუცილებელია მათი ფუნქციების შესასრულებლად. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ დროებით და ასეთი ზომები მხოლოდ სამხედრო აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. [IAC/NIAC]

მოწინააღმდეგე მხარის შეცდომაში შეყვანა

წესი 57. სამხედრო ხრიკების გამოყენება აკრძალული არ არის, თუკი ისინი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესის დარღვევას არ წარმოადგენს. [IAC/NIAC]

წესი 58. დაზავების თეთრი დროშის არადანიშნულებისამებრ გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 59. ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ემბლემის არადანიშნულებისამებრ გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 60. აკრძალული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბლემისა და უნიფორმის გამოყენება, თუკი აღნიშნული ავტორიზებული არ არის თავად ამ ორგანიზაციის მიერ. [IAC/NIAC]

წესი 61. საერთაშორისოდ აღიარებული ემბლემების არადანიშნულებისამებრ გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 62. მოწინააღმდეგე მხარის დროშების ან სამხედრო ემბლემების, სიმბოლიკისა და უნიფორმის არადანიშნულებისამებრ გამოყენება აკრძალულია. [IAC/სავარაუდოდ NIAC]

წესი 63. აკრძალულია ნეიტრალური ან იმ სხვა სახელმწიფოების დროშების ან სამხედრო ემბლემების, სიმბოლიკის ან ფორმის გამოყენება, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენენ. [IAC/სავარაუდოდ NIAC]

წესი 64. მოწინააღმდეგე მხარეზე მოულოდნელი თავდასხმის განხორციელების განზრახვით ბრძოლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 65. ვერაგობის გზით მოწინააღმდეგის მკვლელობა, დაჭრა ან ტყვედ აყვანა აკრძალულია. [IAC/NIAC]

მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაცია

წესი 66. მეთაურებს შეუძლიათ კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით დაამყარონ არამტრული ხასიათის კონტაქტი. ასეთი კონტაქტი კეთილსინდისიერების პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. [IAC/NIAC]

წესი 67. პარლამენტარები ხელშეუხებლობით სარგებლობენ. [IAC/NIAC]

წესი 68. მეთაურებს უფლება აქვთ გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები, რათა პარლამენტარების ყოფნა ზიანის მომტანი არ იყოს. [IAC/NIAC]

წესი 69. პარლამენტარები, რომლებიც თავიანთ პრივილეგიებზე მდგომარეობას იყენებენ საერთაშორისო სამართლით აკრძალული და მოწინააღმდეგე მხარისთვის საზიანო ქმედების განსახორციელებლად, კარგავენ ხელშეუხებლობას. [IAC/NIAC]

იარაღი

იარაღის გამოყენების მარეგულირებელი ზოგადი წესები

წესი 70. აკრძალულია ომის წარმოების ისეთი საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც გადამეტებულ ზიანს ან არასაჭირო ტანჯვას გამოიწვევენ. [IAC/NIAC]

წესი 71. აკრძალულია არსობრივად განურჩეველი ხასიათის იარაღის გამოყენება. [IAC/NIAC]

საწამლავი

წესი 72. საწამლავის ან მოწამლული იარაღის გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

ბიოლოგიური იარაღი

წესი 73. ბიოლოგიური იარაღის გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

ქიმიური იარაღი

წესი 74. ქიმიური იარაღის გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 75. მასობრივი არეულობების ჩახშობის დროს გამოსაყენებელი საშუალებების ომის წარმოების მეთოდად გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 76. აკრძალულია ჰერბიციდების, როგორც ომის წარმოების მეთოდის გამოყენება თუ მათ:

- (a) აკრძალული ქიმიური იარაღის თვისებები აქვთ;
- (b) აკრძალული ბიოლოგიური იარაღის თვისებები აქვთ;
- (c) ისეთი მცენარეულობის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებიც სამხედრო სამიზნეებს არ წარმოადგენენ;
- (d) შეუძლიათ სამოქალაქო მოსახლეობაში უნებლიე მსხვერპლის, სამოქალაქო პირთა დაჭრის ან სამოქალაქო ობიექტების განადგურების, ან ამ მოვლენების ერთბაშად

გამოწვევა, რაც, სავარაუდოდ, აღემატება მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას; ან

(e) შეუძლიათ ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება ბუნებრივი გარემოსთვის.

[IAC/NIAC]

გაფართოებადი ტყვიები

წესი 77. დაუშვებელია ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც მარტივად ფართოვდება ან ბრტყელდება ადამიანის სხეულში. [IAC/NIAC]

ფეთქებადი ტყვიები

წესი 78. დაუშვებელია ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადამიანის სხეულში ფეთქდება. [IAC/NIAC]

არაიდენტიფიცირებადი ფრაგმენტების შემცველი იარაღის გამოყენების აკრძალვა

წესი 79. დაუშვებელია ისეთი ფრაგმენტების შემცველი ტყვიების გამოყენება, რომელთა იდენტიფიცირება ადამიანის სხეულში რენტგენის გამოყენებითაც კი შეუძლებელია. [IAC/NIAC]

სამხედრო ხაფანგები

წესი 80. დაუშვებელია ისეთი ხაფანგების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია ან ასოცირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით სპეციალური დაცვით მოსარგებლე პირებთან ან ობიექტებთან, ან ისეთ ნივთებთან, რომლებიც სამოქალაქო პირების ყურადღებას მიიქცევენ. [IAC/NIAC]

ნაღმები

წესი 81. ნაღმების გამოყენების შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათი განურჩეველი მოქმედებით გამოწვეული შედეგების მინიმუმამდე დაყვანას. [IAC/NIAC]

წესი 82. შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ, რომელიც ნაღმებს იყენებს, შეძლებისდაგვარად უნდა შეაგროვოს ყველანაირი ინფორმაცია მათი განლაგების შესახებ. [IAC/NIAC]

წესი 83. აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, შეიარაღებული კონფლიქტის მხარე, რომელმაც ნაღმები განათავსა, ვალდებულია ამოიღოს ეს ნაღმები ან სხვაგვარად გააუვნებელყოს ისინი, რათა სამოქალაქო მოსახლეობას ზიანი არ მიადგეს. [IAC/NIAC]

ცეცხლგამჩენი იარაღი

წესი 84. ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რომ თავიდან აიცილონ მსხვერპლი სამოქალაქო პირებს შორის, სამოქალაქო პირების დაჭრა ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანება, და ნებისმიერ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანონ ასეთი შედეგები. [IAC/NIAC]

წესი 85. აკრძალულია ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენება ადამიანის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეზობელი პირის გასანეიტრალებლად უფრო ნაკლები ზიანის მომტანი იარაღის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. [IAC/NIAC]

დამაბრმავებელი ლაზერული იარაღი

წესი 86. აკრძალულია ისეთი ლაზერული იარაღის გამოყენება, რომლის ერთადერთი ან ერთ-ერთი საბრძოლო ფუნქციაც მუდმივი სიბრმავის გამოწვევა ან მხედველობის დაქვეითებაა. [IAC/NIAC]

სამოქალაქო და *hors de combat* პირთა მოპყრობა

დაცვის ძირითადი გარანტიები

წესი 87. სამოქალაქო პირებსა და *hors de combat* პირებს ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ. [IAC/NIAC]

წესი 88. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესრულების პროცესში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რაც განპირობებულია რასით, კანის ფერით, სქესით, ენით, რელიგიით ან რწმენით, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებით, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობით, ეკონომიკური მდგომარეობით, დაბადებით ან სხვა სტატუსით, ან ნებისმიერი სხვა მსგავსი კრიტერიუმით. [IAC/NIAC]

წესი 89. მკვლელობა აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 90. აკრძალულია წამება, სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობა და პირის ღირსების შელახვა, განსაკუთრებით, მათი შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა. [IAC/NIAC]

წესი 91. ფიზიკური დასჯა აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 92. აკრძალულია სხეულის დასახიჩრება, სამედიცინო ან მეცნიერული ექსპერიმენტები ან ნებისმიერი სხვა პროცედურა, თუკი ეს აუცილებელი არ არის პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით და ეწინააღმდეგება ზოგადად დადგენილ სამედიცინო სტანდარტებს. [IAC/NIAC]

წესი 93. აკრძალულია გაუპატიურება და სხვა ფორმის სექსუალური ძალადობა. [IAC/NIAC]

წესი 94. აკრძალულია მონობა და მონობით ვაჭრობის ყველა ფორმა. [IAC/NIAC]

წესი 95. აკრძალულია არაანაზღაურებადი და არაჯანსაღი იძულებითი შრომა. [IAC/NIAC]

წესი 96. დაუშვებელია მძევლების აყვანა. [IAC/NIAC]

წესი 97. აკრძალულია “ადამიანი-ფარების” გამოყენება. [IAC/NIAC]

წესი 98. აკრძალულია იძულებითი გაუჩინარება. [IAC/NIAC]

წესი 99. აკრძალულია თავისუფლების თვითნებური აღკვეთა. [IAC/NIAC]

წესი 100. დაუშვებელია პირის მსჯავრდება და სასჯელის დაკისრება თუკი დაცული არ არის სამართლიანი სასამართლოს ყველა ძირითადი მოთხოვნა. [IAC/NIAC]

წესი 101. არავინ უნდა იყოს ბრალდებული ან მსჯავრდებული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის თუკი კონკრეტული ქმედება ან უმოქმედობა მისი ჩადენის პერიოდში ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით დასჯად ქმედებას არ წარმოადგენდა; დაუშვებელია იმაზე მძიმე სასჯელის დაკისრება, რასაც სამართალი დანაშაულის ქმედების ჩადენის მომენტში ითვალისწინებდა. [IAC/NIAC]

წესი 102. პირის მსჯავრდება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე. [IAC/NIAC]

წესი 103. კოლექტიური სასჯელის გამოყენება აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 104. სამოქალაქო პირთა და *hors de combat* პირთა რწმენას და რელიგიურ რიტუალებს პატივს უნდა სცემდნენ. [IAC/NIAC]

წესი 105. ოჯახური ცხოვრების უფლებას შემღებობისდაგვარად უნდა სცემდნენ პატივს. [IAC/NIAC]

კომბატანტისა და სამხედრო ტყვის სტატუსი

წესი 106. თავდასხმის ან თავდასხმის მოსამზადებელ საომარ ოპერაციებში მონაწილეობის დროს კომბატანტებმა უნდა განარჩიონ საკუთარი თავი სამოქალაქო მოსახლეობისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არ აქვთ უფლება ისარგებლონ სამხედრო ტყვის სტატუსით. [IAC]

წესი 107. კომბატანტებს, რომლებსაც ჯაშუშობის ქმედების განხორციელების დროს აიყვანენ ტყვედ, სამხედრო ტყვის სტატუსით სარგებლობის უფლება არ აქვთ. დაუშვებელია მათი მსჯავრდება ან მათთვის სასჯელის დაკისრება სასამართლო მოსმენის გარეშე. [IAC]

წესი 108. ჟენევის კონვენციების I ოქმით გათვალისწინებული განმარტების შესაბამისად, დაქირავებულ პირებს არ აქვთ უფლება ისარგებლონ კომბატანტის ან სამხედრო ტყვის სტატუსით. დაუშვებელია მათი მსჯავრდება ან მათთვის სასჯელის დაკისრება სასამართლო მოსმენის გარეშე. [IAC]

დაჭრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირები

წესი 109. როდესაც გარემოებები ამის საშუალებას იძლევა, და განსაკუთრებით სამხედრო იერიშის განხორციელების შემდგომ პერიოდში, შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაცვით, დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა ზომა დაჭრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირების მოძიებასა და ევაკუაციისთვის. [IAC/NIAC]

წესი 110. დაჭრილი, ავადმყოფი და გემის კატასტროფაში მოყოლილი პირებს შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად და დაუყოვნებლივ უნდა აღმოუჩინონ სამხედრო დახმარება, როგორც ამას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოითხოვს. დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, გარდა სამედიცინო აუცილებლობისა. [IAC/NIAC]

წესი 111. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარემ პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიიღოს ყველა ზომა დაჭრილი, ავადმყოფი ან გემის კატასტროფაში

მოყოლილი პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის ან მათი ქონების ძარცვის თავიდან აცილების მიზნით. [IAC/NIAC]

გარდაცვლილი პირები

წესი 112. როდესაც გარემოებები ამის საშუალებას იძლევა, და განსაკუთრებით სამხედრო იერიშის განხორციელების შემდგომ პერიოდში, შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაცვით, პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში და დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა ზომა გარდაცვლილთა მოძიებასა და ევაკუაციისათვის. [IAC/NIAC]

წესი 113. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა ყველა პრაქტიკულად შესაძლებელი ზომა უნდა მიიღონ გარდაცვლილ პირთა ძარცვის თავიდან ასაცილებლად. აკრძალულია გარდაცვლილთა სხეულის დასახიჩრება. [IAC/NIAC]

წესი 114. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები მაქსიმალურად უნდა ეცადონ, და უზრუნველყონ გარდაცვლილ პირთა ნეშტების დაბრუნებამათი ოჯახის წევრების და იმ მხარის მოთხოვნის შესაბამისად, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. გარდაცვლილი პირების ნივთები აგრეთვე უნდა დაბრუნებულ იქნას. [IAC]

წესი 115. გარდაცვლილები ღირსეულად უნდა დაკრძალონ და მათ სამარხებს ღირსეულად და სათანადოდ უნდა მოეპყრან. [IAC/NIAC]

წესი 116. გარდაცვლილ პირთა იდენტიფიცირების მიზნით შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ მათი დაკრძალვის წინ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია სათანადოდ უნდა შეაგროვოს და შეინახოს, და მონიშნოს მათი სამარხები. [IAC/NIAC]

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები

წესი 117. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარემ პრაქტიკულად შესაძლებელი ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა გაირკვეს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული პირების ბედი და შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოს უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული პირის ოჯახის წევრებს. [IAC/NIAC]

თავისუფლებადკვეთილი პირები

წესი 118. თავისუფლებადკვეთილ პირებს უნდა მიეწოდოს სათანადო საკვები, წყალი, ტანსაცმელი, თავშესაფარი და სამედიცინო დახმარება. [IAC/NIAC]

წესი 119. თავისუფლებადკვეთილი ქალების დაკავების ადგილი მამაკაცების დაკავების ადგილიდან განცალკევებით უნდა იყოს, გარდა ოჯახის გაერთიანების მიზნით შექმნილი ბლოკებისა. ქალების დაკავების ადგილებს ქალები უნდა ზედამხედველობდნენ. [IAC/NIAC]

წესი 120. თავისუფლებადკვეთილი ბავშვები მოზარდებისგან განცალკევებით უნდა იყვნენ მოთავსებული, გარდა ოჯახის გაერთიანების მიზნით შექმნილი ბლოკებისა. [IAC/NIAC]

წესი 121. თავისუფლება აღკვეთილი პირების მოსათავსებლად განკუთვნილი დაწესებულებები მოშორებული უნდა იყოს საომარი მოქმედებების ზონისგან და უნდა აკმაყოფილებდეს ჯანდაცვისა და ჰიგიენის მოთხოვნებს. [IAC/NIAC]

წესი 122. თავისუფლება აღკვეთილ პირთა ნივთების მარცვა აკრძალულია. [IAC/NIAC]

წესი 123. თავისუფლება აღკვეთილი პირების პირადი მონაცემები უნდა აღიწეროს. [IAC/NIAC]

წესი 124.

A. საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს უნდა ჰქონდეს რეგულარული წვდომა თავისუფლება აღკვეთილ ყველა პირთან, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მოპყრობის პირობების შეფასება და ოჯახური კავშირების აღდგენა. [IAC]

B. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს შესთავაზოს მომსახურება შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით თავისუფლება აღკვეთილი პირების დაკავების პირობების შეფასებისა და ოჯახური კავშირების აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით. [NIAC]

წესი 125. თავისუფლება აღკვეთილ პირებს ოჯახის წევრებთან მიმოწერის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. აღნიშნული შესაძლებელია, დაექვემდებაროს მიმოწერის სიხშირისა და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ცენზურის საჭიროებასთან დაკავშირებულ გონივრულ შეზღუდვებს. [IAC/NIAC]

წესი 126. ინტერნირებულ სამოქალაქო პირებს და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით დაკავებულ პირებს პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში მინახველების, განსაკუთრებით კი, ახლო ნათესავების მიღების უფლება უნდა მიეცეთ. [IAC/NIAC]

წესი 127. თავისუფლება აღკვეთილი პირების რწმენასა და რელიგიურ რიტუალებს პატივი უნდა სცენ. [IAC/NIAC]

წესი 128.

A. სამხედრო ტყვეების გათავისუფლება და რეპატრაცია უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, აქტიური საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე. [IAC]

B. ინტერნირებული სამოქალაქო პირები უნდა გათავისუფლდნენ შეძლებისდაგვარად სწრაფად, როგორც კი აღარ იარსებებს მათი განგრძობითი დაკავების განმაპირობებელი გარემოებები, და არა უგვიანეს აქტიური საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომი უმოკლესი პერიოდისა. [IAC]

C. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტთან კავშირში დაკავებული პირები უნდა გათავისუფლდნენ შეძლებისდაგვარად სწრაფად, როგორც კი აღარ იარსებებს მათთვის თავისუფლების აღკვეთის მიზეზები. [NIAC]

ზემოთ მოყვანილი პირების თავისუფლების აღკვეთის პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს, თუკი მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, ან თუკი ისინი კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაკისრებულ სასჯელს იხდიან.

იძულებით გადაადგილება და იძულებით გადაადგილებული პირები

წესი 129.

- A. საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა არ უნდა მოახდინონ ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილობრივი ან სრული დეპორტაცია ან იძულებითი გადაყვანა, თუკი ამას სამოქალაქო პირების უსაფრთხოება ან სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს. [IAC]
- B. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მხარეებმა არ უნდა გასცენ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო სამოქალაქო მოსახლეობის სრულად ან ნაწილობრივ იძულებით გადაადგილების ბრძანება, თუკი ამას სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება ან სამხედრო აუცილებლობა არ მოითხოვს. [NIAC]

წესი 130. სახელმწიფოებმა არ უნდა მოახდინონ თავიანთი მოსახლეობის მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დეპორტაცია ან იძულებითი გადაყვანა. [IAC]

წესი 131. გადაადგილების შემთხვევაში, ყველა შესაძლო ზომა უნდა იქნას მიღებული იმისთვის, რომ სამოქალაქო მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს თავშესაფრის, ჰიგიენის, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და კვების დამაკმაყოფილებელი პირობებით, და ოჯახების წევრები არ იყვნენ ერთმანეთისგან განცალკევებული. [IAC/NIAC]

წესი 132. იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ, ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, როგორც კი აღმოიფხვრება ის მიზეზები, რამაც მათი იძულებით გადაადგილება განაპირობა. [IAC/NIAC]

წესი 133. იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონებას პატივი უნდა სცენ. [IAC/NIAC]

განსაკუთრებული დაცვით მოსარგებლე სხვა პირები

წესი 134. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების განსაკუთრებულ დაცვას, მათ ჯანმრთელობას და დახმარების საჭიროებებს პატივს უნდა სცემდნენ. [IAC/NIAC]

წესი 135. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვები განსაკუთრებული დაცვითა და პატივისცემით სარგებლობენ. [IAC/NIAC]

წესი 136. დაუშვებელია შეიარაღებული ძალების ან შეიარაღებულ ჯგუფების წევრებად ბავშვების აყვანა. [IAC/NIAC]

წესი 137. ბავშვებს არ უნდა დართონ საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობის ნება. [IAC/NIAC]

წესი 138. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ხანშიშესული, ავადმყოფი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განსაკუთრებული დაცვითა და პატივისცემით სარგებლობენ. [IAC/NIAC]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვა

წესი 139. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები და უზრუნველყოს ამ ნორმების შესრულება თავისი შეიარაღებული ძალებისა და სხვა პირების ან ჯგუფების მიერ, ვინც მათ მითითებებსა და კონტროლს ექვემდებარებიან. [IAC/NIAC]

წესი 140. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულებასა და მისი შესრულების უზრუნველყოფაზე არ ვრცელდება ნაცვალგების პრინციპი. [IAC/NIAC]

წესი 141. შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია უზრუნველყოს სამართლის მრჩეველების ხელმისაწვდომობა, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში მეთაურებს მიაწვდიან ინფორმაციას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების თაობაზე. [IAC/NIAC]

წესი 142. სახელმწიფოებმა და შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა თავიანთ შეიარაღებულ ძალებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ. [IAC/NIAC]

წესი 143. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სამოქალაქო მოსახლეობისთვის სწავლებას. [IAC/NIAC]

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აღსრულება

წესი 144. სახელმწიფოებმა არ უნდა წახალისონ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევები. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღმოფხვრის მიზნით მათ შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყენონ თავიანთი გავლენა. [IAC/NIAC]

წესი 145. თუკი სამხედრო რეპრესალიები საერთაშორისო სამართლით არ არის აკრძალული, მათი გამოყენების მიმართ მკაცრი შეზღუდვები ვრცელდება. [IAC]

წესი 146. ჟენევის კონვენციების დაცვით მოსარგებლე პირების წინააღმდეგ რეპრესალიების გამოყენება აკრძალულია. [IAC]

წესი 147. ჟენევის კონვენციებითა და კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ ჰააგის კონვენციით დაცული ობიექტების წინააღმდეგ რეპრესალიების განხორციელება აკრძალულია. [IAC]

წესი 148. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს არ აქვთ უფლება, გამოიყენონ სამხედრო რეპრესალიები. აკრძალულია სხვა საპასუხო ზომების გამოყენება იმ პირების წინააღმდეგ, ვინც არ ან აღარ იღებს უშუალო მონაწილეობას საომარ მოქმედებებში.

საერთაშორისო პასუხისმგებლობა და რეპარაცია

წესი 149. სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისთვის, რომლებიც მას მიეწერება. მათ შორის:

- (a) თავიანთი ორგანოების, მათ შორის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის;
- (b) იმ პირების ან ორგანიზაციების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ელემენტების განხორციელების უფლებით აღიჭურვიან;

(c) იმ პირებისა და ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის, რომლებიც რეალურად ასრულებენ მათ ბრძანებებს, ან ექვემდებარებიან მათ მითითებებსა და კონტროლს; და

(d) კერძო პირებისა და ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის, თუკი სახელმწიფოები აღიარებენ და საკუთარ ქმედებად აცხადებენ აღნიშნულ ქმედებებს.

[IAC/NIAC]

წესი 150. სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებზე, ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი დარღვევით გამოწვეული ზიანის ან დანაკარგის სრული რეპარაცია. [IAC/NIAC]

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

წესი 151. პირებს დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის. [IAC/NIAC]

წესი 152. მეთაურებს და სხვა ზემდგომ პირებს დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუკი მათი ბრძანებების შესაბამისად სამხედრო დანაშაულს ჩაიდენენ. [IAC/NIAC]

წესი 153. მეთაურებს და სხვა ზემდგომ პირებს დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულისთვის, თუკი მათ იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირები აპირებდნენ ან რეალურად ჩადიდნენ ასეთ დანაშაულს და მათ საკუთარი ძალაუფლების ფარგლებში არ მიიღეს ყველა აუცილებელი და გონივრული ზომა, რათა მოეხდინათ დანაშაულის პრევენცია, ან თუკი ასეთი დანაშაული უკვე ჩადენილია, უზრუნველყოს პასუხისმგებელი პირების დასჯა. [IAC/NIAC]

წესი 154. ყველა კომბატანტი ვალდებულია არ შეასრულოს ცალსახად უკანონო ბრძანება. [IAC/NIAC]

წესი 155. მეთაურის ბრძანების შესრულება დაქვემდებარებაში მყოფ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ გაათავისუფლებს, თუკი მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ბრძანება უკანონო იყო. [IAC/NIAC]

სამხედრო დანაშაულები

წესი 156. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები სამხედრო დანაშაულებს განეკუთვნება. [IAC/NIAC]

წესი 157. სახელმწიფოებს უფლება აქვთ თავიანთი ეროვნული სასამართლოების მეშვეობით სამხედრო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქცია განახორციელონ. [IAC/NIAC]

წესი 158. სახელმწიფოებმა უნდა გამოიძიონ თავიანთი მოქალაქეების ან შეიარაღებული ძალების მიერ, ან მათ ტერიტორიაზე ჩადენილი სამხედრო დანაშაულები, და საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელონ პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ. სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა გამოიძიონ მათ იურისდიქციას დაქვემდებარებული სხვა სამხედრო დანაშაულები და საჭიროების შემთხვევაში

სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელონ პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ. [IAC/NIAC]

წესი 159. საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანოებმა შეძლებისდაგვარად ფართო ამნისტია უნდა გამოაცხადონ იმ პირების მიმართ, ვინც არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში მიიღო მონაწილეობა, ან ვინც შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში იქნა დაკავებული, გარდა იმ პირებისა, ვინც ექვმიტანილნი, ბრალდებულნი ან მსჯავრდებულნი არიან სამხედრო დანაშაულების ჩადენისთვის. [NIAC]

წესი 160. სამხედრო დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. [IAC/NIAC]

წესი 161. სახელმწიფოებმა მაქსიმალურად უნდა ითანამშრომლონ სამხედრო დანაშაულების გამოძიებისა და ექვმიტანილი პირების სისხლის სამართლის სფეროში. [IAC/NIAC]